პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 იანვარი კვირა 1970

გამოდის 50-ე წელი · № 8 (14612) · ფასი 2 კაპ.

## ნოვატები სამშობლოს

**ხუთწლედი —** [illegible]

ლენინის საიუბილეო თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ორჯონიკიძის რაიონის მშრომელებმა. ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში რაიონში გაშენდა 180 ჰექტარი ახალი ვენახი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 120 ჰექტარისა. 1969 წელს გაშენებულია 80 ჰექტარი ხეხილის ბაღი. 1970 წელს მრავალწლიანი ნარგავების გასაშენებლად მომზადებულია 40 ჰექტარი ნიადაგი.

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველი დღეებიდანვე ახალი ძალით გაჩაღდა შეჯიბრება ბაღ-ვენახებში საზამთრო სამუშაოების დროზე შესასრულებლად და საგაზაფხულო თესვისათვის ყოველმხრივ მოსამზადებლად. ეს „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა ჯოგლიძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ როგაქიძემ და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბრიგალაშვილმა.

ბათუმი. (საქ. [illegible]) [illegible] მატებით ინერგება ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია. ახლახან აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა ავტომატური ხაზი, რომელიც პარკებში ახვევს წამლებს. ხაზმა 10 მუშის შრომა შეცვალა. ქარხანამ ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში შეასრულა ექსპორტის გეგმა, 22 სახის პრეპარატები მსოფლიოს ოცზე მეტ ქვეყანაში გაიგზავნა.

ქარხანაში ბევრი რამ გაკეთდა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1 პროცენტისა პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 3 პროცენტით. ქარხნის კოლექტივი ძალწრულს როდი სჯერდება. ახალი ვალდებულებით 1970 წელს 45 პროცენტით უნდა გაიზარდოს ნატურალური კოფეინის გამოშვება. ამ პროდუქციას წელს მსოფლიოს ათობით ქვეყანაში გაგზავნიან.

# პასუხისმგებლობა და დისციპლინა

**ПРАВДА**

10 იანვრის მოწინავე

ცხოვრება, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა სულ უფრო რთულ ამოცანებსა და პრობლემებს აყენებს. ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის, ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისა და ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლისათვის უდიდესი მუშაობა მოგველის, გაცილებით მეტი უნდა ვიშრომოთ, ვიდრე დღემდე. ამ პირობებში განუზომლად იზრდება პარტიისა და სახელმწიფოს კადრების, ყველა საბჭოთა ადამიანის პასუხისმგებლობა მუშაობის მინდობილი უბნისათვის. სკკპ XXIII ყრილობამ მიგვითითა, რომ თანამედროვე ეტაპზე ყველა კოლექტივმა და თვითეულმა მუშაკმა უნდა გააძლიეროს პასუხისმგებლობა, განამტკიცოს დისციპლინა.

1969 წლის დეკემბერში გამართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ახალი ძალით გაუსვა ხაზი იმას, რომ საჭიროა კიდევ უფრო ამაღლდეს პარტიისა და ხალხის წინაშე ჩვენი კადრების, ყველა კომუნისტის პასუხისმგებლობის შეგნება.

პასუხისმგებლობა და დისციპლინა განუყოფელია ერთმანეთისაგან. თავისი ორგანული ერთიანობით ისინი დამახასიათებელია ჩვენი კადრებისათვის, რომელთა დიდი უმრავლესობა გამოცდილი, საქმის მცოდნე მუშაკებია. მათ განვლეს პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის კარგი სკოლა და მასების პატივისცემით სარგებლობენ. სწორედ პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განუხრელად დაცვა უზრუნველყოფს მათს წარმატებასა და ავტორიტეტს.

სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს რომ უყენებენ მუშაკებს პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობენ იმით, რომ თვითეული მათგანი პერსონალურად აგებს პასუხს მინდობილი საქმისათვის. ამავე დროს ჯერ კიდევ ვხვდებით ცალკეული ამხანაგების ცდებს თავი აარიდონ მინდობილი საკითხების გადაწყვეტას, პასუხისმგებლობა მოიხსნან და დააკისრონ იგი სხვას „შეთანხმების" საჭიროებისა თუ ხელმძღვანელობაში კოლექტიურობის პრინციპის დაცვის საბაბით. რა თქმა უნდა, კოლეგიალობის ასეთი გაგება ამახინჯებს თვით მის არსს. კოლეგიალობას, გვასწავლიდა ლენინი, თან უნდა ახლდეს ზუსტად გარკვეული საქმისათვის თვითეული პირის პირადი პასუხისმგებლობის უაღრესად ზუსტი განსაზღვრა.

რა პოსტიც უნდა ეჭიროს ამა თუ იმ მუშაკს, იგი მთელი სისრულით აგებს პასუხს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის იმ უბანზე, რომელსაც ხელმძღვანელობს. რასაკვირველია, დირექტივებისა და კანონების აშკარა დარღვევები ჩვენში იშვიათია. მაგრამ საკმაოდ ხშირად ვხვდებით ზერელე, უდარდელ დამოკიდებულებას სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულებისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე აღინიშნა, რომ სამეურნეო საქმიანობის შედეგები შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო, ყველა სამინისტროსა და უწყებას, საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ყველა მუშაკს მეტი ორგანიზებულობა და ოპერატიულობა რომ გამოეჩინათ, უფრო სრულად რომ გამოეყენებინათ მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები, მეტ ყურადღებას რომ აქცევდნენ სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას.

მრეწველობის მთელმა რიგმა დარგებმა ვერ შეასრულეს ახალი ტექნიკის დანერგვის დავალებანი, ვერ ასრულებენ ახალი საწარმოო სიმძლავრეების ათვისების საგეგმო ვადებს. მაგალითად, მეტად ნელა მიმდინარეობს სიმძლავრეების ათვისება ქიმიური და კვების მრეწველობის ბევრ საწარმოში. საწარმოო სიმძლავრეთა არასრული გამოყენების მიზეზებს შორის უწინარეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ ის, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა მოუდუნდა ზოგიერთ სამეურნეო ხელმძღვანელს, რომლებიც მოვალენი არიან გულდასმით ერკვეოდნენ თვითეული საწარმოსა და საამქროს მუშაობაში, სადაც მიღწეული არ არის საპროექტო მაჩვენებლები, შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საქმის ძირეულად გაუმჯობესებას.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო დისციპლინის განუხრელ დაცვას ეკონომიური რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის. სამწუხაროდ, საწარმოთა ყველა ხელმძღვანელი სწორად და ეფექტიანად როდი იყენებს შესაძლებლობებს, რომლებსაც სახავს მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდები. ცალკეულ საწარმოებში ცდილობენ შემოსავალი გაადიდონ არა წარმოების სრულყოფის გზით, არამედ საგეგმო ასორტიმენტის დაუსაბუთებელი შეცვლის გზით, რათა გააფართოონ ძვირად ღირებულ ნაკეთობათა გამოშვება, არღვევენ სახელმწიფო დისციპლინას, ნებისმიერად ზრდიან პროდუქციის საბითუმო ფასებს.

საგეგმო დავალებათა შეუსრულებლობისას ზოგიერთი მუშაკი ხშირად იმიზეზებს არახელსაყრელ ობიექტურ გარემოებებს. თქმა არ უნდა, საწარმოს, მეურნეობის მუშაობის პირობები შეიძლება რთული იყოს. მაგრამ, ცნობილია, რომ ერთნაირ პირობებში ზოგი თავისი სიბეჯითითა და ენერგიით ასრულებს გეგმას, წმიდად იცავს სახელმწიფოს ინტერესებს, ზოგიერთი კი თვითდინებას მიჰყვება და მხოლოდ იმას ეძებს, რომ გაამართლოს საკუთარი უპასუხისმგებლობა.

სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვა დასახული გეგმების შესაბამისად სამეურნეო საქმეების წარმატებით გაძღოლის უმნიშვნელოვანესი პირობა და მატერიალურ ფასეულობათა უმკაცრესი ეკონომიის საფუძველია. უდისციპლინობა ხშირად წარმოშობს მფლანგველობას. ამას მეტყველურად მოწმობენ საგეგმო და საფინანსო დისციპლინის დარღვევის ფაქტები მთელ რიგ ადგილებში, სადაც უმნიშვნელოვანესი მშენებლობებისათვის განკუთვნილ რესურსებს აბანდებენ ძვირად ღირებული ადმინისტრაციული შენობების, სტადიონების, საცურაო აუზებისა და სხვა, ხშირად გეგმით გაუთვალისწინებელი ობიექტების მშენებლობაზე. ასეთი ფაქტები საჭიროს ხდის პარტიული ორგანიზაციების ჩარევას.

პარტიულ მომთხოვნელობას და პრინციპულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომუნისტების, ყველა ჩვენი მუშაკის აღზრდისათვის მაღალი პასუხისმგებლობისა და დისციპლინის სულისკვეთებით. ასეთი მომთხოვნელობის ატმოსფეროს შექმნას თვითეულ ორგანიზაციაში ხელს უწყობს კრიტიკა და თვითკრიტიკა. ამას მკაფიოდ მოწმობენ საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებები და კონფერენციები, რომლებიც ახლა მიმდინარეობს. პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში დიდი როლი უნდა შეასრულონ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტებისა და საოლქო კომიტეტების პლენუმებმა, პარტიული აქტივის კრებებმა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებმა, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგებს ეძღვნება. კრიტიკა და თვითკრიტიკა იმის მძლავრი, ქმედითი საშუალებაა, რომ კომუნისტებს ჩავუნერგოთ შეუწყნარებლობა სახელმწიფო ინტერესების დარღვევისადმი, უდისციპლინობის უმცირესი გამოვლინებისადმი.

მტკიცედ ავამაღლოთ ჩვენი კადრების პასუხისმგებლობა, მათი ორგანიზებულობა, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა — ნიშნავს უზრუნველვყოთ საჭირო პირობები სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მიღწევისათვის.

# ილიჩის მიხედვით ვამოწმებდეთ ცხოვრებას

## რესპუბლიკის იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის" უდიდესი ძალის თეორიული და პოლიტიკური დოკუმენტია, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს ჩვენი ხალხის შემდგომ იდეურ აღზრდასა და კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის დარაზმვაში. უკვდავია ლენინის იდეები და საქმენი, მისი ცხოვრების უკვდავი გმირობა ყველა საბჭოთა ადამიანისათვის შთაგონებისა და ოპტიმიზმის უშრეტი წყაროა. ამ ისტორიული დოკუმენტის გამოქვეყნებამ ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, გამოიწვია მშრომელთა შემოქმედებითი ენერგიისა და აქტივობის ახალი მოზღვავება, მისწრაფება ლენინის იუბილე აღნიშნონ ახალი სასახელო საქმეებითა და მიღწევებით.

თეზისების ღრმა შინაარსის განმარტებას, რომლებმაც შეითვისეს ჩვენი პარტიისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის კოლექტიური სიბრძნე, იდეოლოგიური მუშაობის, საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის ამოცანებს, გენიალური მოაზროვნის, რევოლუციონერის, ბელადის, ადამიანის 100 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას მიეძღვნა რესპუბლიკის იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირი, რომელიც 9 იანვარს გაიმართა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, იდეოლოგიური მუშაკები, მეცნიერები, უმაღლესი სასწავლებლების მუშაკები, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, მეცნიერულ-ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

თათბირის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **მ. ა. გოგიჩაიშვილი, ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჰანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე **ი. ა. სკლიაროვი.**

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

სიტყვა მოხსენებისათვის „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისები ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის და იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები" გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს ამხ. **პ. ა. როდიონოვს.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში, — თქვა ამხ. როდიონოვმა, — მოცემულია ღრმა მარქსისტული ანალიზი კაცობრიობის განვითარების მთელი რევოლუციური ეპოქისა, რომელიც დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის სახელთან და მოღვაწეობასთან, განზოგადებულია ლენინის იდეების განხორციელების გიგანტური გამოცდილება.

ამ თეზისების განმასხვავებელი ნიშნები არის ზუსტი მეცნიერულობა, სიღრმე, ობიექტურობა, ოპტიმისტური პათოსი, კლასობრივი პოზიციების ლენინურად ძლევამოსილი შეტევი ხასიათი.

არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც, როგორც მოძმე პარტიები, ისე მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა უდიდესი ინტერესით შეხვდნენ თეზისებს. ეს აიხსნება ლენინის სიდიადით, ლენინიზმის სიდიადით, რომელიც ეპოქის დროშა გახდა. ორი სისტემის თანამედროვე მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლაში შეუძლებელია გადაჭარბებით შევაფასოთ თეზისების მნიშვნელობა მარქსიზმ-ლენინიზმის რევიზიის ყველა და ყოველგვარი ცდების მხილებაში, აგრეთვე ბრძოლაში იმ აგრესიული ანტისაბჭოურობისა და ანტიკომუნიზმის წინააღმდეგ, რომლებიც იმპერიალისტური პროპაგანდის მთავარი შინაარსი გახდა.

ჩვენი მოვალეობა ის არის, — თქვა ამხ. როდიონოვმა, — რომ შეურიგებლად ვამხილოთ იდეური მტრები, მარქსიზმ-ლენინიზმის ცილისმწამებლები და ფალსიფიკატორები, დამაჯერებლად ვუჩვენოთ, რომ როგორც ლენინიზმი არ არის უმარქსიზმოდ, ისე არც სოციალიზმია ულენინიზმოდ ჩვენს ეპოქაში.

თეზისებში განსაკუთრებით არის ხაზგასმული, აღნიშნა ამხ. როდიონოვმა, ახალი საზოგადოების მშენებლობისადმი ლენინური მიდგომის რეალიზმი.

ხელმძღვანელობენ რა ლენინის მითითებებით, ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებმა უფრო სრულად და ღრმად უნდა გააშუქონ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ესა თუ ის მოვლენები, არგუმენტირებულად გააშუქონ კომუნისტური მშენებლობის დასაბუთებულობა, რეალობა, მაგრამ ამავე დროს სირთულეც, როცა ეხებიან ჩვენს უდავო და მნიშვნელოვან წარმატებებს, ამასთანავე უნდა აღნიშნონ სიძნელენი, ნაკლოვანებანი, გადაუწყვეტელი პრობლემები.

ამხ. როდიონოვი შეეხო საბჭოთა ადამიანის მორალურ კოდექსს, ცხოვრების ლენინური ნორმებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვას. ჩვენში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, რომლებიც შეუპყრია მომხვეჭელობის წყურვილს და ხელმრუდენი, რომლებიც ხშირად სარგებლობენ ცხოვრების სიკეთით ხალხის ხარჯზე. ლენინი ასეთ ადამიანებს სოციალისტური საზოგადოების უბოროტეს მტრებს უწოდებდა. საჭიროა კიდევ უფრო თანმიმდევრულად და მტკიცედ ვიბრძოლოთ წვრილბურჟუაზიული შეხედულებების, ჩვევებისა და ტრადიციების წინააღმდეგ, რომელთა სიცოცხლისუნარიანობაზე ამყარებენ იმედს ჩვენი მტრები.

უაღრესად საჭიროა, — აღნიშნა ამხ. როდიონოვმა, — ისე გავუწიოთ პროპაგანდა ლენინურ მემკვიდრეობასა და ლენინის სახეს, რომ თვითეული ადამიანი, ყოველი ჩვენგანი ნამდვილად ამოწმებდეს თავის ცხოვრებას ილიჩის მიხედვით, თავისუფლდებოდეს ყოველივე იმისაგან, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას. ვიცნობდეთ ლენინს როგორც ადამიანს და ამით ვახდეთ უკეთესნი — დიდსა და პატარა საქმეში სხვებისა და საკუთარი თავის მიმართ, ვსწავლობდეთ ლენინისაგან შეურიგებლობას უპატიოსნობისადმი, სიყალბისა და პირფერობისადმი, რითაც უნდა ვლინდებოდნენ ისინი, ბიუროკრატიზმისა და კარიერიზმისადმი, ყოველგვარი პირმოთნეობისა და მლიქვნელობისადმი. ვისწავლოთ ლენინისაგან უბრალოება და სისადავე, დემოკრატიზმი და მისაწვდომობა; უანგარობა, კრისტალური პატიოსნება და სიმართლე, ურმესი და უანგარო ერთგულება პარტიისა და ხალხის ინტერესებისადმი. სწორედ ასეთი მიდგომა უნდა შეადგენდეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძირითად მიმართულებას ჩვენს იდეოლოგიურ, აღმზრდელობით მუშაობაში, მათ შორის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების პროპაგანდაშიც.

ამხ. როდიონოვმა ილაპარაკა საზოგადოების სულიერი ცხოვრების, სოციალისტური ორგანიზაციისადმი ლენინური მიდგომის, ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების, როგორც „საერთო პროლეტარული საქმის ნაწილის", აყვავების შესახებ, სოციალისტური რეალიზმის ძალის, მხატვრული სიტყვის ოსტატთა ნიჭისა და შემოქმედებითი ძიებისადმი მზრუნველი ლენინური დამოკიდებულების შესახებ და ამასთან გაუბრალოებისა და სუბიექტივიზმისადმი, მოდური ფრაზის საშუალებით რეაქციულ, ანტისოციალისტურ შეხედულებათა შემოპარებისადმი ლენინური შეუწყნარებლობის შესახებ.

თანამედროვე პირობებში, ხაზგასმით აღნიშნა როდიონოვმა, განუხრელად იზრდება კომუნისტური პარტიის როლი. აქედან გამომდინარეობს საჭიროება კიდევ უფრო განვამტკიცოთ მისი იდეური და ორგანიზაციული ერთობა, სრულვყოთ ხელმძღვანელობის მეთოდები, გამოვიყენოთ იდეოლოგიური მუშაობის ფორმების მთელი მრავალგვარობა მშრომელთა და განსაკუთრებით მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისათვის.

ბოლშევიკთა პარტია, ნათქვამია თეზისებში, იქმნებოდა, იზრდებოდა და ვითარდებოდა როგორც ნამდვილი პროლეტარული ინტერნაციონალისტების პარტია. ამხ. როდიონოვმა ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის ამოცანებს. ამ საქმეში ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ კლასობრივი კრიტერიუმებით, პარტიულობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ერთიანობის პრინციპით.

ცენტრალური კომიტეტის თეზისების გამოქვეყნების შემდეგ ახალ ეტაპში შევიდა ლენინური იუბილესათვის მზადება, რომელშიც ახლა აქტიურად მონაწილეობს ათეულ მილიონობით საბჭოთა ადამიანი.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

## დიადი სახე

**მოსკოვი.** (საქდესის კორ.). ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მოსკოველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენას.

— ჩვენი ექსპოზიცია პირველია საიუბილეო სამხატვრო გამოფენებს შორის, რომლებიც მოსკოვში გაიხსნება, — თქვა საბჭოთა მხატვრების კავშირის მოსკოვის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ ს. დუდნიკმა.

აქ წარმოდგენილი იქნება ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, მონუმენტური, დეკორაციულ-გამოყენებითი, თეატრალური და კინოდეკორაციული ხელოვნების ნაწარმოებები. ნამუშევართა ნაწილი განლაგდება აგრეთვე სხვა საგამოფენო დარბაზებში. მათი საერთო რიცხვი დაახლოებით სამი ათასს შეადგენს.

მოსკოველ მხატვართა საიუბილეო გამოფენა გამოირჩევა ნაწარმოებთა ფართო თემატიკით — დაწყებული ისტორიულ-რევოლუციური ტილოებით, რომლებიც კომპოზიციის საფუძველს შეადგენენ და დამთავრებული დღევანდელობის ამსახველი ნამუშევრებით.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს ეძღვნება ბევრი ნაწარმოები ხელოვნების ყველა სახეობაში. ფუნჯისა და საჭრისის ოსტატები შეეცადნენ გამოეკვეთათ დიდი ბელადის — მოაზროვნის, ტრიბუნის, ადამიანის სახე.

გამოფენაში მონაწილეობენ ყველა თაობის სახვითი ხელოვნების ოსტატები. მათ შორის ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ სახალხო მხატვრები, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრები და წევრ-კორესპონდენტები. ბევრი ნამუშევარი შექმნეს ახალგაზრდა მხატვრებმა — უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულებმა.

## მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე

ულიანოვსკი, (საქდესის კორ.). აქ დამთავრდა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გასვლითი სესია. როგორც თავიანთ მოხსენებებში სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა აკადემიკოსმა ბ. ვ. პეტროვსკიმ, აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ვ. დ. ტიმაკოვმა, აკადემიკოსმა ვ. ვ. პარინმა და სხვა ორატორებმა აღნიშნეს, ლენინის სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის მეცნიერების ქმნადობა და განვითარება.

სესიის სამეცნიერო ნაწილი მიეძღვნა მედიცინის აქტუალურ პრობლემას — გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს. წამყვანმა მეცნიერებმა აღნიშნეს ამ დარგში საბჭოთა მედიცინის უკანასკნელი მიღწევები, თავიანთი მეცნიერული დასკვნები გამოიტანეს კარდიოლოგებმა, ფარმაკოლოგებმა, ნევროლოგებმა, კურორტოლოგებმა, გერონტოლოგებმა და ქირურგებმა.

საბოლოო სიტყვაში ვ. დ. ტიმაკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სესიას, რადგან სესიაზე განისაზღვრა კვლევითი საქმიანობის შემდგომი გზები. მეცნიერი მედიკებისათვის განსაკუთრებით ძვირფასია ის, რომ სესია მიმდინარეობდა ლენინის სამშობლოში ბელადის დაბადების 100 წლისთავის წინ.

სესიის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის ყველა მუშაკისადმი, მოუწოდეს მათ უფრო მეტი ენერგიითა და თავდადებით იბრძოლონ საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებისა და დღეგრძელობისათვის.

## მიფრინავს „კოსმოსი-318"

1970 წლის 9 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-318".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის: რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცი სიხშირით, რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის, რადიოტელემეტრიული სისტემა დედამიწაზე ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის მონაცემების გადმოცემისათვის. თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საქდესი).

## რკინის მადნის კომბინატი

საექსპლოატაციოდ მიიღეს ზაპოროჟიეს რკინის მადნის კომბინატის პირველი რიგი. კომბინატი გათვალისწინებულია მილიონი ტონა მადნის მოპოვებისათვის წელიწადში. ეს საწარმო აშენდა დნეპრისპირეთში უმდიდრეს ბელოზერსკის საბადოში, სადაც რკინის შემცველობა მადანში აღწევს 68 პროცენტს.

კომბინატის პირველ რიგში შედის შახტის ხუთი ჭაური, რომელთა სიღრმე 400-580 მეტრია, მადნის დასახარისხებელი კორპუსი და სხვა ობიექტები.

ჭაურების აგების დროს მაღაროელებს უნდა დაეძლიათ შვიდი მძლავრი წყლიანი ჰორიზონტი. ერთ-ერთი მათგანი — ბუჩაკის ჰორიზონტი წარმოადგენდა 25-30 მეტრი სისქის მცურავ ქანს, სადაც წნევა 25 ატმოსფერო იყო. გვირაბგამყვანებმა გამოიყენეს წყლის გაყინვა 420 მეტრამდე სიღრმეში. ამ დროს ჩინებულად იმუშავა მოსკოვის ქარხანა „კომპრესორის" საყინავმა დანადგარებმა.

კომბინატის მახლობლად შენდება მაღაროელთა ქალაქი დნეპრორუდნი.

კომბინატის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მისი სიმძლავრე მიაღწევს შვიდ მილიონ ტონა მადანს წელიწადში. წელს ზაპოროჟიელი მაღაროელები მეტალურგებს მისცემენ პირველ 600 ათას ტონა მაღალხარისხოვან მადანს. (საქდესის კორ.).

ზაპოროჟიე.

## ჩვენს დიად სამშობლოში

ლენინგრადი. სკკპ XXII ყრილობის სახელობის ლითონის ქარხნის ტურბომშენებლები წარმატებით ასრულებენ ვალდებულებას, რომელიც აიღეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის იკისრეს. ხუთწლედის მეოთხე წელს მათ ერთნახევარჯერ გაადიდეს 300 ათასი კილოვატი სიმძლავრის ორთქლის ტურბინების გამოშვება. სურათზე: ორთქლის ტურბინის როტორის შემოწმება.

ფოტო პ. ფედოტოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ნოვოსიბირსკი. დამთავრდა კოსმოსური სისტემის „მეტეორის" მშენებლობა, რომელიც ჩვეულებრივ მეტეოროლოგიურ მონაცემებს ავსებს თანამგზავრებიდან გადმოცემული ცნობებით. ორბიტიდან შემოსული ცნობების ნიაღვარს იღებს და სწრაფად ამუშავებს მძლავრი მიწისზედა კომპლექსი. ახლა თანამგზავრების ინფორმაციის დიდი ნაწილი მიემართება ნოვოსიბირსკის რეგიონალურ ჰიდრომეტცენტრში, ამასწინათ ქალაქის მახლობლად დამთავრდა დიდი ანტენის მონტაჟი. ანტენა უზრუნველყოფს სატელევიზიო გამოსახულების მიღებას მეტეოთანამგზავრიდან. სურათზე: (მარჯვნივ) ნოვოსიბირსკთან აშენებული სატელევიზიო ანტენა.

ფოტო ვ. ლეშჩინსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა).





## ყველაზე პატარებისათვის

საბჭოთა უკრაინის 50 წლისთავის სახელობის სამკერვალო ფაბრიკამ დაიწყო ყველაზე პატარებისათვის ახალი მოდელების ცისფერი, მწვანე, წითელი პალტოების გამოშვება. საწარმო ახლა მოსწავლეებისა და სკოლამდელებისათვის ამზადებს ოცი მოდელის ტანსაცმელს.

ახალ წელს ფაბრიკა აითვისებს 57 ახალი სახეობის ნაწარმის გამოშვებას. ბევრი მათგანი წარდგენილია ხარისხის ნიშნის მოსაპოვებლად. (საქდესის კორ.).

ტერნოპოლი

## სარეისო ავტობუსები

წელს ორი ათასი კილომეტრით გადიდდება ავტობუსის მარშრუტების სიგრძე ლიტვის სოფლებში. მანქანები ივლის 60 ახალ ხაზზე. პირდაპირი საავტობუსო მარშრუტებით რაიონულ ცენტრებს დაუკავშირდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა ცენტრალური დაბა.

გათვალისწინებულია აგრეთვე გაიხსნას შორი მიმოსვლის ათზე მეტი საქალაქთაშორისო ხაზი. ტრასებზე გავა ხუთასი თანამედროვე ავტობუსი. (საქდესის კორ.).

ვილნიუსი.

## სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1970 წლის 10 იანვარს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სსრ კავშირის სახელგანთქმული კოსმონავტი მფრინავი, სკკპ წევრი, საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი პავლე ივანეს-ძე ბელიაევი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი · სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი · სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

# სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი პავლე ივანეს-ძე ბელიაევი

1970 წლის 10 იანვარს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სსრ კავშირის სახელგანთქმული კოსმონავტი მფრინავი, კოსმოსის ერთ-ერთი დამპყრობი, საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი პავლე ივანეს-ძე ბელიაევი.

პ. ი. ბელიაევი დაიბადა 1925 წლის 26 ივნისს ვოლოგდის ოლქის როსლიატინსკის რაიონის სოფელ ჩელიშჩევოში. 1942 წელს, ათწლედის დამთავრების შემდეგ, იგი მუშაობას იწყებს ქარხანაში ჯერ ხარატად, შემდეგ მზა პროდუქციის მიმღებად.



დიდი სამამულო ომის მძიმე ჟამს პ. ი. ბელიაევი, ისევე როგორც მრავალი ათასი მისი ტოლი, მოხალისედ შედის საბჭოთა არმიის რიგებში და საფრენოსნო სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, როგორც ავიაგამანადგურებელი-მფრინავი მონაწილეობს ომში იმპერიალისტურ იაპონიასთან.

ომისშემდგომ წლებში პ. ი. ბელიაევი მსახურობდა სამხედრო-საჰაერო ძალების წყნარი ოკეანის ფლოტის გვარდიის ავიაგამანადგურებელ საავიაციო პოლკში. აქ 1949 წელს შედის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში. იყო მფრინავი, უფროსი მფრინავი, რგოლის მეთაური, ესკადრილიის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში.

1956 წელს პ. ი. ბელიაევს სასწავლებლად გზავნიან წითელდროშოვან სამხედრო-საჰაერო აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ იგი მეთაურობს საავიაციო ესკადრილიას. დიდად აფასებდა რა პავლე ივანეს-ძე ბელიაევის თვისებებს, სარდლობა 1960 წელს აგზავნის მას კოსმონავტთა რაზმში. აქ მან გამოიჩინა დიდი სიბეჯითე კოსმოსური ტექნიკის ათვისებაში, სრულყოფილად შეისწავლა ხომალდის მატერიალური ნაწილი, დაეუფლა ხომალდის მართვის პრაქტიკულ ჩვევებს.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ 1965 წლის მარტში პ. ი. ბელიაევს მიანდეს კოსმოსური ფრენა „ვოსხოდ-2“ ხომალდით როგორც ეკიპაჟის მეთაურს. ეს პასუხსაგები დავალება მან წარმატებით შეასრულა, გამოიჩინა მაღალი მორალური თვისებანი, ნებისყოფა, გამბედაობა, რთულ პირობებში მუშაობის უნარი. ფრენის დროს იგი ხელმძღვანელობდა მსოფლიოში პირველი ადამიანის გასვლას ხომალდიდან კოსმოსურ სივრცეში. პოლკოვნიკმა ბელიაევმა ხომალდი დედამიწაზე დასვა ხელის მართვის სისტემის გამოყენებით. „ვოსხოდ-2“ ხომალდის გაფრენამ ახალი, უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ფურცელი ჩაწერა კოსმოსის ათვისების ისტორიაში და ამრავლა საბჭოთა კავშირის კოსმოსური დიდება.

კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისათვის პავლე ივანეს-ძე ბელიაევს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ და მიენიჭა „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდება. იგი დაჯილდოებულია აგრეთვე წითელი ვარსკვლავის ორდენით, მრავალი მედლით, მინიჭებული აქვს საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნების ჯილდოები.

ბოლო წლების მანძილზე პავლე ივანეს-ძე ბელიაევი ბეჯითად სრულყოფდა სპეციალურ ცოდნას, უშუალოდ მონაწილეობდა კოსმოსური ფრენისათვის კოსმონავტთა მომზადებაში.

პ. ი. ბელიაევი იყო სოციალისტური სამშობლოს მხურვალე პატრიოტი, პრინციპული კომუნისტი, აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, არჩეული იყო ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში, მოსკოვის საბჭოს დეპუტატად, პროპაგანდას უწევდა საბჭოთა ხალხის მიღწევებს კოსმოსის ათვისებაში. იგი ხშირად გამოდიოდა მშრომელების, ახალგაზრდობის, არმიისა და ფლოტის მეომრების წინაშე, საზღვარგარეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა წინაშე. მას ყველა იცნობდა, როგორც გულთბილ და გულისხმიერ ადამიანს, კარგ ამხანაგსა და მეოჯახეს.

პავლე ივანეს-ძე ბელიაევის — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის, კოსმოსის მამაცი და სახელოვანი დამპყრობის, მებრძოლი მეგობრისა და ამხანაგის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ე. შელესტი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. ა. კუნაევი, პ. მ. მაშეროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ლ. ვ. სმირნოვი, ა. ა. გრეჩკო, მ. ვ. კელდიში, მ. ვ. ზახაროვი, ი. ი. იაკუბოვსკი, ა. ა. ეპიშევი, ს. ლ. სოკოლოვი, ნ. ი. კრილოვი, ს. გ. გორშკოვი, პ. ს. კუტახოვი, ე. მ. ტიაჟელნიკოვი, ნ. ი. სავინკინი, ი. დ. სერბინი, გ. ს. ტიტოვი, ა. გ. ნიკოლაევი, პ. რ. პოპოვიჩი, ვ. თ. ბიკოვსკი, ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა, კ. პ. ფეოქტისტოვი, ბ. ბ. ეგოროვი, ა. ა. ლეონოვი, გ. ტ. ბერეგოვოი, ვ. ა. შატალოვი, ბ. ვ. ვოლინოვი, ა. ს. ელისეევი, ე. ვ. ხრუნოვი, გ. ს. შონინი, ვ. ნ. კუბასოვი, ა. ვ. ფილიპჩენკო, ვ. ნ. ვოლკოვი, ვ. ვ. გორბატკო.

## სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის, საბჭოთა კავშირის გმირის პოლკოვნიკ პ. ი. ბელიაევის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

კომისია იუწყება, რომ კუბო პ. ი. ბელიაევის ნეშტით დასვენებული იქნება საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის წითელდროშოვან დარბაზში. (კომუნის მოედანი, სახლი 2).

განსვენებულთან გამოთხოვება შეიძლება 12 იანვარს 10-დან 18 საათამდე და 13 იანვარს — 10-დან 13 საათამდე.

პ. ი. ბელიაევის დაკრძალვა მოხდება 13 იანვარს 14 საათზე ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

## სამედიცინო დასკვნა სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის პოლკოვნიკ პ. ი. ბელიაევის ავადმყოფობისა და სიკვდილის მიზეზის შესახებ

სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს პოლკოვნიკ პ. ი. ბელიაევს 1969 წლის დეკემბერში წყლულოვანი დაავადების გამო უეცრად დაეწყო მწვავე კუჭ-ნაწლავის სისხლდენა.

ოპერაციის შემდეგ გაუჩნდა ჯორჯალის სისხლძარღვების თრომბოზი და 12-გოჯა და მლივი ნაწლავების კედლის ვრცელი განგრენა, რასაც მოჰყვა მთლიანი პერიტონიტის განვითარება. ყველა ღონისძიების მიუხედავად პ. ი. ბელიაევი გარდაიცვალა 1970 წლის 10 იანვარს 00 საათსა და 20 წუთზე საერთო ინტოქსიკაციის, ფილტვების შეშუპებისა და გულის მოქმედების შეჩერების შედეგად.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სამხედრო-სამედიცინო სამმართველოს უფროსი, სამედიცინო სამსახურის გენერალ-პოლკოვნიკი დ. კუვშინსკი, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. სამედიცინო სამსახურის გენერალ-პოლკოვნიკი ა. ვიშნევსკი, პროფესორი გ. ვილიავინი, პროფესორი დ. სარქისოვი, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მთავარი პათოლოგოანატომი, სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი ა. აპატენკო.

# ილიჩის მიხედვით ვამოწმებდეთ ცხოვრებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები ფართო იდეურ-აღმზრდელობითი, პროპაგანდისტული მუშაობის საფუძველი უნდა გახდეს; პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველგან უნდა მოაწყონ თეზისების ღრმა და სისტემატური განმარტება. ამხ. როდიონოვმა დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების დიდ პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ორგანიზატორულ მუშაობას, რომლის მიზანია ლენინის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელება. მან ილაპარაკა პარტიული განათლების სისტემაზე — იდეოლოგიური მუშაობის ძირითად მიმართულებაზე, დაახასიათა რესპუბლიკის კომუნისტთა და ყველა მშრომელთა იდეურ ცხოვრებაში ის უმაგალითო აღმავლობა, რომელიც გამოიწვია ვ. ი. ლენინის 100 წლისთავისათვის მზადებამ, ბელადის შრომების შესწავლისადმი გაზრდილმა ინტერესმა.

ლენინური იდეური მემკვიდრეობის პროპაგანდისათვის მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი. ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი ცდილობს უფრო თვალსაჩინოდ წარმოადგინოს ბელადის ტიტანური მოღვაწეობა და სახე. საჭიროა აღინიშნოს იმ 90 ათასი პოლიტინფორმატორისა და აგიტატორის დიდი მუშაობა, რომლებიც თეზისებს განმარტავენ მშრომელთა ფართო მასებში. ლექტორთა ჯგუფებისა და მომხსენებელთა ჯგუფების ძალებით წაკითხულია ათასობით ლექცია. 100 წლისთავის მოსამზადებლად დიდ მუშაობას ეწევა საზოგადოება „ცოდნა“, რომლის ძალებით მოეწყო ლენინის თემატიკისადმი მიძღვნილი 40 ათასამდე ლექცია.

პარტიული ორგანიზაციები ფართოდ აწყობენ ლენინურ კითხვებს აქტივისათვის. მაგალითად, თბილისში ლენინური კითხვების დროს მოხსენებები და ლექციები წაიკითხეს ან წაიკითხავენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ყველა წევრი და წევრობის კანდიდატი და სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. წარმატებით სწავლობენ ლენინის ნაშრომებს 26 სახალხო ლენინურ უნივერსიტეტში.

და მაინც ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია, როცა ზრუნავს ლექციების რიცხვის გადიდებისათვის, მათი ხარისხისადმი, საჭირო მომთხოვნელობას ვერ იჩენს. მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდა ხშირად წარმოებს ისე, რომ ჯეროვნად არ ითვალისწინებენ მსმენელთა მოთხოვნილებებს, მოწყვეტილია კოლექტივების საჭირბოროტო ამოცანებს. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმისა და კამპანიურობის ელემენტები. საზოგადოება „ცოდნა“ აწყობს სამეცნიერო-თეორიულ კონფერენციებს, თემატურ საღამოებსა და სხვა მასობრივ ღონისძიებებს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად უპირატესად ქალაქებსა და მსხვილ რაიონულ ცენტრებში. არ შეესაბამება მზარდ მოთხოვნებს ბევრი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების, განსაკუთრებით სასოფლო კლუბებისა და ბიბლიოთეკების საქმიანობა.

ამხ. როდიონოვმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდ მუშაობას ეწევიან იუბილესათვის მოსამზადებლად რესპუბლიკის გამომცემლობები, პრესა, რადიო და ტელევიზია, შემოქმედებითი კავშირები, შემოქმედებითი ინტელიგენცია. ისინი ცდილობენ სახელოვანი თარიღი ახალი შემოქმედებითი წარმატებებით აღნიშნონ.

მომხსენებელმა ამასთან ერთად აღნიშნა ისიც, რომ მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში, გაზეთებისა და ჟურნალების ზოგიერთ რედაქციაში, კულტურის დაწესებულებებში არის ტენდენცია საიუბილეო ღონისძიებებად გაასაღონ უფერული ღონისძიებანი. ზერელობის დაღი აზის იუბილესათვის რესპუბლიკის მშრომელთა მზადების გაშუქებაში გაზეთების ზოგიერთ მასალასაც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს ყოველივე იმის პროპაგანდის სწორ დაყენებას, რაც ლენინის სახელთან არის დაკავშირებული. აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს ბრტყელ-ბრტყელ ლაპარაკს, პრიმიტივიზმსა და პროფანაციას.

— კომუნისტებს, თვითეულ მშრომელ ადამიანს, თქვა დასასრულ როდიონოვმა, — არა აქვს იმაზე ძვირფასი სახელი, ვიდრე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელია, არა აქვს იმაზე უფრო ახლობელი სახე, ვიდრე ლენინის სახეა, არა აქვს იმაზე უფრო მაღალი იდეალები, ვიდრე ლენინის იდეალებია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ იმას, რომ იდეოლოგიური მუშაობის დონე შეესაბამებოდეს დიდი ლენინის იუბილეს მნიშვნელობას, ლენინის იდეებისა და მისი უდიდესი თეორიული მემკვიდრეობის სიღრმეს, რომლებსაც პროპაგანდას ვუწევთ.

მოხსენება 1969 წლის „სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შედეგებისა და 1970 საიუბილეო წლის ამოცანების შესახებ“ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. დ. ჯავახიშვილმა.

მომხსენებელმა დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა დიდ მიღწევებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში, დიდი ყურადღება დაუთმო გადაუჭრელ პრობლემებს, სიძნელეებს, ნაკლოვანებებს და მათი აღმოფხვრის გზებს.

განმაზოგადებელი მაჩვენებლებით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა ვითარდებოდა ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის დირექტივების შესაბამისად როგორც მთლიანად, ისე მეტი წილი დარგების მიხედვით. ეროვნული შემოსავალი, რომელიც გაფართოებული კვლავწარმოებისა და ხალხის კეთილდღეობის ზრდის წყაროა, ხუთწლედის ოთხ წელიწადში გადიდდა 28 პროცენტით. წინასწარი მონაცემებით წარმოების მოცულობა 1966-1969 წლების მანძილზე რესპუბლიკის მრეწველობაში გაიზარდა 41,4 პროცენტით.

წარმატებით განხორციელდა სამრეწველო საწარმოების გადაყვანა დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალ სისტემაზე. ახალი სისტემით მუშაობს საწარმოთა 56,6 პროცენტი, რომლებიც უშვებენ საერთო სამრეწველო პროდუქციის 80 პროცენტს და იძლევიან მთელი მოგების 86 პროცენტს.

შეეხო რა სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატებებს, ამხ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის ძირითად სახეობათა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის დავალებანი მთლიანად და გადაჭარბებით სრულდება. საექსპლოატაციოდ გადაცემულია ამოშრობილი და სარწყავი მიწების მნიშვნელოვანი ფართობები.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობის გადამწყვეტი დარგების განვითარებისათვის.

ბევრი რამ გაკეთდა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი, მოხმარების ფონდი, მოსახლეობის ფულადი შემოსავალი. აშენდა საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი აღემატება 6 მილიონ კვადრატულ მეტრს, მთელი რიგი სკოლები, საავადმყოფოები, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი და სხვ.

ამხ. ჯავახიშვილი შეეხო დიდ წარმატებებს რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, საქართველოს მეცნიერთა და ხელოვნების მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი არმიის მიღწევებს.

ანალიზი გაუკეთა რა ნაკლოვანებებს სახალხო მეურნეობის განვითარებაში, მომხსენებელმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე შესამჩნევია ტენდენცია სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპების შემცირებისა ხუთწლიანი გეგმის დავალებებთან შედარებით.

ამხ. ჯავახიშვილმა მოიყვანა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები რესპუბლიკის საწარმოთა მექანიკური აღჭურვილობის შესახებ. მრეწველობაში დასაქმებულ მუშათა მთელი რიცხვის 39 პროცენტი არ იყენებს მექანიზმებს, ეწევა ხელის შრომას. შრომის ნაყოფიერების ამაღლების დიდი რეზერვის გადიდებას აფერხებს აგრეთვე ის, რომ ჯეროვნად ვერ ვიყენებთ მოწყობილობასა და სამუშაო დროს, ვერ ვასრულებთ ტექნიკური პროგრესის საგეგმო დავალებებს. ძირითადი პრობლემა აქ ის არის, რომ გადაჭრით ავამაღლოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა. მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმას, რომ საჭიროა უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების უპირატესი ზრდა სამუშაო ხელფასთან შედარებით, რაც სოციალისტური დაგროვების უმნიშვნელოვანესი წყაროა.

ჯერ კიდევ სრულად ვერ ვიყენებთ არსებულ რეზერვებს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. არადამაკმაყოფილებელია ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდის ტემპები, დიდია ზოგიერთი სახეობის პროდუქციის თვითღირებულება, არის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოცდენის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და უწინარეს ყოვლისა სარწყავი ფართობების არარაციონალური გამოყენების ფაქტები.

შეეხო რა სერიოზულ ნაკლოვანებებს რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაში, ამხ. ჯავახიშვილმა თქვა, რომ ამ უმნიშვნელოვანეს დარგში გეგმის შეუსრულებლობა უწინარეს ყოვლისა გამოწვეულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციით, მუშახელის დენადობით, ხარვეზებით მშენებარე ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის უზრუნველყოფაში, საშენი მასალების მიწოდების შეფერხებით. ჩვენი ვიწრო ადგილი განსაკუთრებით ის არის, რომ ჯეროვნად არ არის განვითარებული საშენი მასალების მრეწველობა და სამშენებლო ინდუსტრია.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო 1970 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებს. სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა მიმდინარე წელს 6,5 პროცენტით უნდა გაიზარდოს. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია გაიზრდება 8,9 პროცენტით. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 6 პროცენტით აღემატება 1969 წელს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას.

1970 წელი აღსავსე იქნება უმნიშვნელოვანესი მოვლენებით, — თქვა დასასრულ ამხ. ჯავახიშვილმა. — ემზადებიან რა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ისტორიული თარიღისათვის, რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს განსაკუთრებით მკვეთრად აქვთ შეგნებული, რომ მხოლოდ ლენინის მოძღვრების პრიზმით შეიძლება გაიგო მსოფლიოში მომხდარი რევოლუციური ცვლილებების არსი და ხასიათი და სწორად შეაფასო ამ ცვლილებებში მონაწილე ძალების როლი.

ეჭვი არ არის, რომ ქართველი ხალხი, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ხორცი შეასხას ლენინის ანდერძს, თავის ღირსეულ წვლილს შეიტანს ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომ გამრავლებაში.

მოსმენილ მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი. კამათში გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი მ. შ. ხვარწკია, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი გ. გ. აბაშიძე, საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე მ. ა. მოსიკიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ქ. ქ. გარდაფხაძე, საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი ლ. პ. ჯოჯუა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგე გ. ხ. ფირცხალავა, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე გ. ე. კოკოევი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ზ. გ. ახვლედიანი.

კამათში გამოსული ორატორები დაწვრილებით შეეხნენ ლენინის იუბილეს მომზადებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მიერ გაჩაღებული დიდი მუშაობის შინაარსსა და ფორმებს.

კამათში დიდი ყურადღება დაეთმო შემოქმედებითი ინტელიგენციის, სიტყვის ოსტატების, ხელოვნების მოღვაწეების მიღწევებს, რომლებიც ქმნიან ბელადის ძვირფას სახეს, წიგნის გამომცემლობათა, ჟურნალისტთა მუშაობას ლენინის იდეური მემკვიდრეობის, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის პოპულარიზაციისათვის.

ამხანაგებმა მ. შ. ხვარწკიამ, გ. ე. კოკოევმა, ლ. პ. ჯოჯუამ, მ. ა. მოსიკიანმა თავიანთ გამოსვლებში გააშუქეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, პროპაგანდისტების, ლექტორების, აგიტატორების იდეოლოგიური მუშაობის მრავალფეროვანი გამოცდილება, მშრომელთა კოლექტივებში ლენინის იუბილესათვის მზადების ღონისძიებანი, პატრიოტული ინიციატივა ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებაში.

საქალაქო კომიტეტები, რაიკომები და დიდი პირველადი პარტიული ორგანიზაციები ამზადებენ თეორიულ კონფერენციებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების ცალკეულ დებულებებზე. პარტიული კომიტეტების პოლიტიკური განათლების კაბინეტები აწყობენ პროპაგანდისტთა სემინარებს პარტიული განათლების ქსელში სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების შესწავლის მეთოდიკის საკითხებზე. საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში კითხულობენ ლექციების ციკლს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესახებ. იმართება შეხვედრები ძველ კომუნისტებთან, ოქტომბრის რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან, თემატური საღამოები, კითხვა-პასუხის საღამოები.

ყოველივე ეს გამოხატულებას პოულობს იმ პოლიტიკურ და შრომით აღმავლობაში, რომელიც სუფევს რესპუბლიკის საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სასწავლებლებში.

მაგრამ, აღნიშნავდნენ ორატორები, ჯერ კიდევ ყველაფერი როდია გაკეთებული, რომ ლენინის იდეების, ილიჩის გმირული ცხოვრებისა და გიგანტური მოღვაწეობის პროპაგანდას მიენიჭოს ნამდვილად საყოველთაო-სახალხო გაქანება, რომ მშრომელთა მთელი ძალღონე მოვახმაროთ უპირველესი პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას.

მწერლები და პოეტები, ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატები, კომპოზიტორები ვ. ი. ლენინს უძღვნიან თავიანთ საუკეთესო ნაწარმოებებს. შემოქმედებითი ინტელიგენცია კვლავ მიაპყრობს თავის მზერას ილიჩის ნათელ სახეს, მის გმირულ ცხოვრებას, მისი იდეების საგანძურს, მისი ცხოვრების უკვდავ გმირობას. ორატორებმა აღნიშნეს, რომ ლენინური თემა მოითხოვს ხელოვანის განსაკუთრებულ მომთხოვნელობას საკუთარი თავისადმი, თავისი მუშაობისადმი, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას, იდეურ სიწმინდეს და პარტიულობას.

ქართველი მწერლები, — თქვა გ. აბაშიძემ, — ილიჩის იუბილეს მაღალი შემოქმედებითი აღმავლობით ეგებებიან. ახლახან გამოქვეყნდა საუკეთესო პოეტური, პროზაული და დრამატული ნაწარმოებებისათვის გამოცხადებული რესპუბლიკური კონკურსის შედეგები. ისინი ყოველი ჩვენგანის დიდ სიხარულს იწვევენ. პრემიებით აღნიშნული ყველა ნაწარმოები უკვე გამოქვეყნდა ან გამოქვეყნდება და, უეჭველია, დიდ კმაყოფილებას მიანიჭებს მკითხველებს. მაღალ დონეზე მიმდინარეობდა საქართველოს მწერალთა კავშირის პლენუმი, რომელზეც დაისახა დიდი და კარგი ღონისძიებანი ისტორიული თარიღის აღსანიშნავად. ვ. ი. ლენინის იუბილესათვის ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცემა ბელადისადმი მიძღვნილი ქართველ პოეტთა რჩეული ლექსები. ქართველ პოეტთა და მწერალთა ბრიგადები უკვე ნახევარ წელზე მეტია მკითხველებისათვის აწყობენ ლენინურ კითხვებს. საქართველოს მწერლებისათვის მუდამ შთაგონების წყარო იქნება ილიჩის უკვდავი შემოქმედება და სახე.

საქართველოს რადიოსა და ტელევიზიისათვის, თქვა ამხ. ქ. გარდაფხაძემ, მუდმივი გახდა ისეთი ციკლები, როგორიც არის „მარად ცოცხალი“, „ლენინური გვარდიის ჯარისკაცები“, „ლენინის ალმანახი“, „მათ უნახავთ ლენინი“, „ეს გვიანდერძა ლენინმა“, „ლენინურ ვახტზე“. მკაფიო ფაქტებითა და დოკუმენტებით ვცდილობთ ვუჩვენოთ, როგორ ხორციელდება საქართველოში ილიჩის ანდერძი, როგორ მტკიცდება საბჭოთა ხალხების მეგობრობა. ერთ-ერთი გადაცემა მიეძღვნა სოციალისტური შრომის გმირებს. ამ გადაცემაში მონაწილეობდა 500-ზე მეტი მოწინავე მუშა, კოლმეურნე, მეცნიერების მოღვაწე. მაგრამ ჩვენი გადაცემების დონის გასაუმჯობესებლად ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ.

ამხ. გ. ფირცხალავამ თავისი სიტყვა მიუძღვნა ახალგაზრდობის იდეური აღზრდის საკითხებს. მან თქვა, რომ საჭიროა თანამედროვე მწვავე იდეური ბრძოლის ვითარებაში საკადრისი პასუხი გავცეთ იმათ, ვინც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მოვლენების შეფასებას უდგება ცალმხრივად, წინასწარ აკვიატებულად, ტენდენციურად, ვისაც სურს ესა თუ ის სიძნელენი და გართულებანი ახსნას სუბიექტური ხასიათის მიზეზებით, ამასთან უგულებელყოფს კონკრეტულ-ისტორიული პირობებითა და ვითარებით წარმოშობილ ობიექტურ მიზეზებს. ორატორმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს თბილისის უნივერსიტეტი ლენინის იუბილესათვის.

ამხ. ზ. ახვლედიანმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის გამომცემლობები, პოლიგრაფისტები, მხატვრები, ყველა, ვინც დაკავშირებულია წიგნის გამოშვებასთან, ისტორიული თარიღისათვის მოსამზადებლად, მისი სიდიადის ღირსი გამოცემების შესაქმნელად. მან აღნიშნა ქართულ ენაზე ვ. ი. ლენინის 45-ტომიანი თხზულებათა კრებულის გამოშვებისათვის გაწეული მნიშვნელოვანი მუშაობა, რომელიც დამთავრდება იუბილესათვის, ილაპარაკა ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილ მთელ რიგ ახალ წიგნებზე, რომლებიც დიდი სიყვარულითა და გულმოდგინებით მოამზადეს. ჩვენს რესპუბლიკაში გამოცემული საუკეთესო წიგნები წარმოდგენილი იქნება მოსკოვის გამოფენაზე. ორატორმა შეკრებილთ აღუთქვა, რომ ყოველ ღონეს იხმარენ ლენინურ წელს გამოცემული წიგნების ხარისხისა და გაფორმების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

(საქპრესი).

მოსახლეობის აღწერის წინ

# უდიდესი სტატისტიკური ოპერაცია

ცოტა დრო დარჩა მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის დაწყებამდე. 15 იანვარს დილის 8 საათიდან 15 ათასზე მეტი სათანადოდ მომზადებული აღმწერი და ინსტრუქტორ-კონტროლიორი მოეფინება ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიას მათთვის დაკისრებული ფრიად პასუხსაგები და საპატიო მოვალეობის შესასრულებლად. ამოცანა ის არის, რომ აღწერის გარეშე არ დარჩეს არც ერთი ადამიანი, თანაც პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კითხვას ინსტრუქციის შესაბამისად გაეცეს ამომწურავი და ზუსტი პასუხი.

აქ აღარ შევჩერდებით მოსახლეობის აღწერების მნიშვნელობასა და ამოცანებზე, უმრავლესობისათვის ეს უკვე ცნობილია ბროშურებიდან, საგაზეთო სტატიებიდან, რადიო და ტელეგადაცემებიდან, ლექცია-მოხსენებებიდან, რომლებიც ამ ღონისძიებას მოსამზადებელი პერიოდის მანძილზე მიეძღვნა. გარდა ამისა, მცხოვრებთა უფროსი თაობის საგრძნობ ნაწილს რამდენჯერმე გაუვლია მსგავსი აღწერა და ბევრს თვითონაც შეუსრულებია აღმწერის როლი.

ამ წერილში მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთხელ კიდევ გავამახვილოთ მოსახლეობისა და სააღწერო პერსონალის ყურადღება აღწერის კონკრეტულ-მეთოდოლოგიურ საკითხებზე.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა თვითეული მოქალაქე კარგად იცნობდეს აღწერის კრიტიკულ მომენტს და მისი დაცვის მნიშვნელობას.

აღნიშნული აღწერა ეწყობა 14-15 იანვრის ღამის 12 საათის მდგომარეობით. ეს იმას ნიშნავს, რომ აღწერა შეეხება აღნიშნული თარიღისა და მომენტისათვის არსებულ მოსახლეობას ბინადრობის ადგილის მიხედვით, დროებით არმყოფთა და დროებით მცხოვრებთა ჩათვლით. მაგალითად, თუ ბავშვი დაიბადა 14 იანვარს ღამის 12 საათამდე—აღწერაში უნდა იქნას შეტანილი, ხოლო თუ დაიბადა 15 იანვრის 0 საათსა და 1 წუთზე—აღწერაში არ მოხვდება. ასევე გარდაცვლილთა შესახებ: 14 იანვრის ღამის 12 საათამდე გარდაცვლილები აღწერაში არ მოხვდებიან, ხოლო თუ ასეთი შემთხვევა იყო 15 იანვრის 0 საათსა და 1 წუთზე, სათანადო პირი აღწერაში ჩვეულებისამებრ ნახულობს გამოსახულებას როგორც ცოცხალი. თუ ადამიანს 14 იანვრის ღამის 12 საათამდე შეუსრულდა 67 წელი, მის მიმართ ასაკის შესახებ 67 წელი აღინიშნება, მაგრამ თუ 67 წელი მას 15 იანვარს უსრულდება, მისი ასაკი 66 წელი იქნება. პირი, რომელმაც 14-15 იანვრის ღამე მოცემული საბჭოს ან ქალაქის ფარგლებს გარეთ გაათია ნათესავთან, სასტუმროში ან სხვაგან, აღწერაში როგორც სახეზე მყოფი და დროებით მცხოვრები მოხვდება იქ, სადაც მან ღამე გაათია, ხოლო თავის ოჯახში აღწერილ იქნება როგორც დროებით არმყოფი და ა. შ.

მოსახლეობის აღწერა 14-15 იანვრის მდგომარეობის (კრიტიკული მომენტის) მიხედვით იმას როდი ნიშნავს, რომ აღწერა ღამის 12 საათზე ვაწარმოოთ, არა; აღწერის დრო (პერიოდი) 8 დღისაგან შედგება, დაიწყება იგი 15 იანვრის დილის 8 საათიდან და დამთავრდება 22 იანვარს, თუმცა ადამიანთა შესახებ ცნობების მიღება იწარმოებს 14 იანვრის ღამის 12 საათის მდგომარეობის მიხედვით.

საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ სააღწერო ფურცლის ცალკეულ საკითხებს. კერძოდ, პირველ კითხვაზე ოჯახის უფროსისადმი დამოკიდებულების შესახებ პასუხის გასაცემად საჭირო არ არის ჩანაწერის გაკეთება, არამედ საკმარისია წინასწარ ჩაბეჭდილ ერთ-ერთ შესაბამის კარნახს გაესვას ხაზი. თუ აღწერის კრიტიკული მომენტისათვის ამა თუ იმ ოჯახში აღმოჩნდება სტუმარი (6 თვეზე ნაკლები ვადით) თუნდაც უახლოესი ნათესავი, რომელსაც სხვა ქალაქში, რაიონში ან სასოფლო საბჭოში აქვს ბინა, ცალკე ოჯახი ჰყავს ან მარტოხელაა, აქ იგი აღინიშნება როგორც დროებით მობინადრე, მიეკუთვნება მას ამ ბინაზე მცხოვრებთა შორის საკუთარი ნომერი და ხაზი გაესმის კარნახს „ცალკე მცხოვრები ოჯახის წევრი ან „მარტოხელა“. უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე, რომ ზოგიერთ სააღწერო ფურცელში ქართულ ენაზე უზუსტობაა დაშვებული ამავე კითხვის კარნახში: უნდა იყოს დისშვილი, ძმისშვილი, მარტოხელა და ა. შ. ე. ი. კარნახი „მარტოხელა“ დისშვილსა და ძმისშვილს კი არ შეეხება, არამედ განიხილება როგორც დამოუკიდებელი პოზიცია. ამრიგად, სააღწერო ფურცლის პირველი კითხვის მონაცემების საფუძველზე შესწავლილ იქნება სათანადო მაჩვენებლები ოჯახების სტრუქტურის, სიდიდისა და ოჯახის უფროსების სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის შესახებ.

სააღწერო ფურცლის მეორე და მესამე კითხვები შეეხება კრიტიკული მომენტისათვის დროებით არმყოფებსა და დროებით მცხოვრებლებს. ამ კითხვების შევსება სირთულეს არ წარმოადგენს — საჭიროა მხოლოდ ზუსტად დავიცვათ ინსტრუქციის მოთხოვნები იმის შესახებ, თუ ვინ მიეკუთვნება დროებით არმყოფსა და დროებით მცხოვრებს. ამ მონაცემების საფუძველზე განსაზღვრულ იქნება მოსახლეობის ორი კატეგორიის რიცხოვნობა და სტრუქტურა: მუდმივი მოსახლეობისა და სახეზე მყოფი მოსახლეობისა, რომელთაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნისადმი ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის საქმეები.

სირთულეს არ წარმოადგენს აგრეთვე პასუხის გაცემა მეოთხე კითხვაზე სქესობრივი შემადგენლობის შესახებ; აქ თვითეული ადამიანის მიმართ ხაზი გაესმის მხოლოდ წინასწარ ჩაბეჭდილ კარნახს „მამრობითი“ ან „მდედრობითი“. აღწერის მასალების დამუშავების პროგრამაში თითქმის ყველა თემის მიმართ გათვალისწინებულია დაჯგუფებანი სქესობრივი ნიშნის მიხედვით.

გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული ზუსტი პასუხის გაცემა მეხუთე კითხვაზე — ასაკის შესახებ: ერთ თვეზე ნაკლები ასაკის ბავშვებზე ჩაიწერება „თვეზე ნაკლები“. მათ შესახებ, რომელთაც ერთი წელი არა აქვთ შესრულებული კრიტიკული მომენტისათვის, ჩაიწერება შესრულებულ თვეთა რიცხვი, ხოლო 1-წლიანთა და უფროსი ასაკის პირთათვის, ჩაიწერება ზუსტად შესრულებულ წელთა რიცხვი, თანაც წელთა დამრგვალების თავიდან ასაცილებლად (რასაც გასული წლების აღწერების დროს ბევრ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი), აღინიშნება აგრეთვე დაბადების წელი და თვე. ამ საკითხზე აქ განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას იმისათვის, რომ მოსახლეობამ წინასწარ დააზუსტოს თავისი ასაკი 14-15 იანვრის ღამის 12 საათის მდგომარეობით, რომ არ შეფერხდეს პასუხის გაცემა ამ ფრიად მნიშვნელოვანი მაჩვენებლის შესახებ. საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ამ კითხვის პასუხზეა დამოკიდებული მოსახლეობის შესახებ მთელი რიგი რთული პრობლემებისა და საკითხების შესწავლა-გადაწყვეტა. ასაკობრივი სტრუქტურის მონაცემების საფუძველზე წარმოებს შრომის საანგარიშო და საგეგმო ბალანსების შედგენა, აგრეთვე. ისეთ პასუხსაგებ გაანგარიშებათა შესრულება, როგორიც არის ეგრეთწოდებული „მოკვდაობის ცხრილი“, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის, აგრეთვე შვილოსნობისა და სხვა სპეციალურ კოეფიციენტთა განსაზღვრა-დაზუსტება, მოსახლეობის რიცხვის პერსპექტიული გაანგარიშებანი და ა. შ.

სააღწერო ფურცლის მეექვსე (ქორწინებაშია თუ არა ამჟამად). მეშვიდე (ეროვნება), მერვე (დედაენა), მეცხრე (განათლება), მეათე (სასწავლო დაწესებულების ტიპი, რომელშიც სწავლობს), მეთერთმეტე (არსებობის საშუალებათა წყარო) კითხვების შევსება არ მოითხოვს რაიმე განსაკუთრებულ განმარტებას, საჭიროა მხოლოდ ინსტრუქციის ცოდნა და გამოკითხულ მოქალაქეთა შესაბამისი კულტურა, რადგან აღწერა წარმოებს გამოკითხვის გზით, საბუთების მოუთხოვნელად.

მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავების პროგრამა ითვალისწინებს მონაცემების დეტალურად დამუშავებას სააღწერო ფურცლის ყველა 18 კითხვის მიხედვით, თანაც თვითეული მაჩვენებელი განხილული და გაშუქებული იქნება სხვა შესაბამის მაჩვენებელთან კავშირში. ცალკე — სახეზე მყოფი და ცალკე — მუდმივი მოსახლეობის მიხედვით. როგორც რესპუბლიკაზე, ისე თვითეულ ადმინისტრაციულ რაიონზე, ქალაქზე გამოქვეყნებულ იქნება ცნობები სქესობრივ — ასაკობრივი შემადგენლობის, ეროვნების, დედაენის, განათლების, ოჯახური მდგომარეობის, საზოგადოებრივი ჯგუფებისა და მთელი რიგი სხვა ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით. წინასწარი მონაცემები სახეზე მყოფი და მუდმივი მოსახლეობის რიცხვის შესახებ ქალაქის, სოფლისა და სქესის მიხედვით, ცნობილ იქნება მიმდინარე წლის მარტში. უფრო დაწვრილებითი ცნობები გამოქვეყნდება უფრო გვიან. მასალის დამუშავებისათვის გამზადება-დაშიფვრა და წინასწარი ჯამების გამოთვლა შესრულებული იქნება ქ. თბილისში, საბოლოოდ დამუშავება კი — ქ. მოსკოვში.

როგორც ცნობილია საქართველოში არაერთხელ განხორციელებულა დიდმნიშვნელოვანი ერთდროული სტატისტიკური ღონისძიებანი. რესპუბლიკის აქტივი და სტატისტიკური ორგანოები მსგავსი აღწერების ჩატარებაში გამობრძმედილი არიან. საფუძველი გვაქვს იმედი გამოვთქვათ, რომ ამჯერადაც პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით მოსახლეობის 1970 წლის სრულიად საკავშირო აღწერა რესპუბლიკის ყველა ქალაქში, რაიონში, დაბებსა და სოფლებში მაღალ დონეზე ჩატარდება.

ალ. ხაჩიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი.

* * *



სურათზე: თბილისის სასტუმრო „საქართველოში“ სრულიად საკავშირო აღწერის განყოფილების აღმწერები და ინსტრუქტორ-კონტროლიორები (მარცხნიდან) ლ. შეროზია, ა. ჯანდაშვილი, ე. ცანავა, რ. აფციაური, რ. მელია, ე. ნიჟარიანი, ზ. ნიკოლეიშვილი, რ. ბოჭორიშვილი და დ. კიკალიშვილი აღწერისათვის მოსამზადებლად მიდიან თავიანთ ობიექტებზე.

ფოტო ს. ბილაძისა.

## საბჭოთა დელეგაცია მაროკოში

რაბატი, 10 იანვარი. (საქდესი). სსრ კავშირისა და მაროკოს კულტურული თანამშრომლობის გეგმის შესაბამისად აქ მაროკოს შრომისა და სოციალურ საქმეთა სამინისტროს მოწვევით ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია აზერბაიჯანის სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის ზ. გ. სეიდ-მამედოვას მეთაურობით.

დელეგაციის წევრები შეხვდებიან მაროკოს ოფიციალურ პირებს, მაროკოს სამინისტროთა მუშაკებს, დაათვალიერებენ სამრეწველო საწარმოებს, გაეცნობიან მაროკოელ მშრომელთა ცხოვრებას.

## ლენინიზმის დიადი ძალა

[illegible] ფოთა მშრომელები იბრძვიან მონოპოლიათა ექსპლუატაციისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ. იმპერიალიზმის ჩაგრული მასები ლენინის სახელსა და იდეებს უკავშირებენ ეროვნული და სოციალური განთავისუფლების იმედს, ნამდვილი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მოპოვების იმედს.

ლენინიზმის ცხოვრებისეული ძალა და დიადი გარდამქმნელი როლი კვლავ დამაჯერებლად არის ნაჩვენები „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში, რომლებიც ამას წინათ გამოქვეყნდა, ნათქვამია სტატიაში.

„რაბოტნიჩესკო დელო“ ხაზს უსვამს, რომ ბულგარეთში ფართოდ ემზადებიან ლენინის იუბილეისათვის და რომ ლენინური იდეების შესწავლა და პოპულარიზაცია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის იდეურ-პოლიტიკური საქმიანობის, ბულგარეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შემოქმედებითი კავშირების ყურადღების ცენტრშია.

## პოლონეთი — თანამშრომლობა სოციალიზმის ინტერესებისათვის

ვარშავა, 9 იანვარი. (საქდესი). ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ურთიერთობას, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან განსაზღვრავს როგორც მათი ეროვნული ინტერესები, ისე სოციალიზმის, მარქსიზმ-ლენინიზმის საერთო მიზნები, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ო. ჩერნიკმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა ვარშავის მსუბუქი ავტომობილების ქარხნის აქტივთან შეხვედრაზე.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები, თქვა ო. ჩერნიკმა, ის გადაულახავი დაბრკოლება იყო, რომელზედაც დაიმსხვრა მემარჯვენე და ანტისოციალისტური ძალების ცდები ჩეხოსლოვაკიელი ხალხი აეცდინათ სოციალიზმის მშენებლობის გზიდან და დაერღვიათ ტრადიციული, მეგობრული და ძმური ურთიერთობა ჩეხოსლოვაკიისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებს შორის. კონტრრევოლუციური ძალების გეგმები ჩაფუშა სოციალისტური ქვეყნების ინტერნაციონალურმა სოლიდარობამ და შეკავშირებამ.

ო. ჩერნიკმა აღნიშნა, რომ გაუმჯობესდა ვითარება ჩეხოსლოვაკიაში, რომ ამჟამად საბჭოთა კავშირთან და სხვა მოკავშირე სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობას ახასიათებს ფართო თანამშრომლობა და ურთიერთმხარდაჭერა.

შემდეგ გამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი. შეეხო რა ისტორიის გამოცდილებას, უმთავრესად ჰიტლერიზმთან ბრძოლის გამოცდილებას, მან განაცხადა, რომ პოლონელი, ჩეხი და სლოვაკი ხალხების ბედი განუყრელად დაკავშირებულია ერთმანეთთან. ჰიტლერელ დამპყრობლებთან ბრძოლაში შობილი სოლიდარობა, თქვა ი. ცირანკევიჩმა, გამოიხატა იმით, რომ გავერთიანდით საბჭოთა კავშირთან, ჩეხოსლოვაკიასთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. შეიქმნა თავდაცვითი კავშირი, რომელსაც შეუძლია ჩვენი ხალხებისათვის უზრუნველყოს უშიშროება.

ი. ცირანკევიჩმა გამოთქვა რწმენა, რომ მომავალი წლები იქნება პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის განმტკიცების პერიოდი ორივე ქვეყნის აყვავებისა და ძმური კავშირის განმტკიცებისათვის, რომლითაც პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია დაკავშირებულია საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან.

ვარშავა, 10 იანვარი. (საქდესი). დღეს ვარშავიდან გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ო. ჩერნიკი, რომელიც პოლონეთში იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცირანკევიჩის მოწვევით, იუწყება პოლონეთის პრესის სააგენტო.

□

## უ ტანის პრეს-კონფერენცია

აკრა, 10 იანვარი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა, რომელიც გუშინ გამოვიდა აქ პრეს-კონფერენციაზე, მოიწონა სოციალისტური ქვეყნების ინიციატივა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ.

მან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკებას გამალებული სტრატეგიული შეიარაღების შენელების საკითხებზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ ბიაფრის გამოყოფის წინააღმდეგია და მხარს უჭერს ნიგერიის ტერიტორიულ მთლიანობას.

შეეხო რა საშიშ მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთში, უ ტანმა განაცხადა, რომ საკმარისად არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციები ახლო აღმოსავლეთის კრიზისის პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ და ახლა საქმე ის არის, რომ უნდა შესრულდეს ეს რეზოლუციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სულისკვეთებით.

## დანიშვნები — ზამბია

ლუსაკა, 9 იანვარი. (საქდესი). ზამბიის პრეზიდენტმა კენეტ კაუნდამ გამოაცხადა, რომ ზოგიერთი ცვლილებანია ქვეყნის მთავრობის შემადგენლობაში. თავდაცვის მინისტრად, რომლის ფუნქციასაც პრეზიდენტი კაუნდა ასრულებდა, დანიშნულია შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ა. ზულუ. მაგრამ კაუნდა კვლავ რჩება რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად. შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულია ლუის ჩანგსი, რომელსაც წინათ ტრანსპორტისა და საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრის პოსტი ეკავა.

□

## ჩეხოსლოვაკია — მიღება პრაღის კრემლში

პრაღა, 9 იანვარი. (საქდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ დღეს პრაღის კრემლში მიიღო ჩეხოსლოვაკიის საწარმოთა მუშაკები, რომლებიც პირველნი გამოეხმაურნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მოწოდებას განავითარონ შრომითი ინიციატივა საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25-ე წლისთავის აღსანიშნავად.

კონსოლიდაციის მეოხებით განაცხადა ლ. სვობოდამ, შეგვიძლია წელს მთელი ყურადღება მივაპყროთ ეკონომიკის განვითარების გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტას. პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე გადაწყდეს საჭირბოროტო ეკონომიური პრობლემები ქვეყნის ინტერესებისათვის, მოსახლეობის ინტერესებისათვის.

ლ. სვობოდამ აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას ფართოდ და დადებითად გამოეხმაურნენ მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის მშრომელები. ბევრ საწარმოში მშრომელთა ინიციატივამ ხელი შეუწყო გასული წლის საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

## შვეცია



შვეცია. სამ კვირაზე მეტია გრძელდება სვაპავარიის, კირუნისა და მალმბერგეტის მეშახტეთა გაფიცვა.

ხალხმრავალმა მიტინგებმა და დემონსტრაციებმა, რომლებიც საბადოებზე ეწყობა, გამოავლინა გაფიცულთა სიმტკიცე და ნებისყოფა — გამარჯვებამდე მიიყვანონ ბრძოლა თავიანთი უფლებებისათვის.

მთელ შვეციაში გაიმართა მანიფესტაციები, რომლებითაც მხარს უჭერენ მეშახტეთა სამართლიან მოთხოვნებს.

 სურათზე: კირუნის მეშახტეთა მჯდომარე გაფიცვა.
ფოტო პრესენს-ბილდ-საქდესისა.

## შვეცია — გამოთქვამენ იმედს

სტოკჰოლმი, 10 იანვარი. (საქდესი). აქ გამოქვეყნდა შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ შესანახად გადაეცა სარატიფიკაციო სიგელები იმის შესახებ, რომ შვეცია შეუერთდა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას. ამ განცხადებაში ნათქვამია: შვეციის მთავრობა გამოთქვამს იმედს, რომ „სხვა სახელმწიფოებიც რაც შეიძლება მალე შეუერთდებიან“ ამ ხელშეკრულებას.

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში მოყვანილია აგრეთვე შვეციის მთავრობის წევრის ალვა მიურდალის გამონათქვამები გამალებული სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მნიშვნელობის, აგრეთვე ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის შეწყვეტის საჭიროების შესახებ.

## სამხრეთ ვიეტნამი — მარიონეტს წამოსცდა

ვაშინგტონი, 10 იანვარი. (საქდესი). საიგონის პრეზიდენტმა თხიეუმ კვლავ წამოაყრანტალა ის, რასაც გულდასმით მალავს ვაშინგტონი. გუშინ საიგონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე თხიეუმ განაცხადა, „მრავალი წელი გაივლის“, სანამ ამერიკელები ჯარებს გაიყვანენ სამხრეთ ვიეტნამიდან. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, მან ვაშინგტონს მოსთხოვა ახალი სამხედრო და ეკონომიური დახმარება.

განცხადება, რომელიც საიგონის პრეზიდენტმა გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის სპირო აგნიუს სამხრეთ ვიეტნამში ვიზიტის რამდენიმე დღის შემდეგ, კვლავ ამჟღავნებს სამხრეთ ვიეტნამის ომის „ვიეტნამიზაციის“ ჭეშმარიტ არსს, რასაც ვაშინგტონი უწევს რეკლამას.

## მხოლოდ ფაქტები

### სესია გაიხსნა

ბრიუსელი, 9 იანვარი. (საქდესი). აქ საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე გაიხსნა დასავლეთ ევროპის კავშირის მორიგი სესია.

ეს სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება, რომელშიც შედიან საერთო ბაზრის ექვსი ქვეყანა და ინგლისი, დიდ პოლიტიკურ კრიზისს განიცდის. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ამჯერადაც სესიაში არ მონაწილეობს საფრანგეთი.

### იარაღს ართმევენ

ნიქოზია, 9 იანვარი. (საქდესი). კვიპროსში, მთავრობის გადაწყვეტილებით, კერძო პირებს ართმევენ იარაღს, რომელიც ხელისუფლებმა გადასცეს მათ 1967 წელს ნოემბერში ბერძენთურქთა ინციდენტების პერიოდში. მთავრობის ცნობაში ნათქვამია, რომ პასუხისგებაში იქნებიან მიცემული ის პირები, რომლებიც დროზე არ ჩააბარებენ იარაღს.

### გრიპის ეპიდემია

ჟენევა, 9 იანვარი. (საქდესი). დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ამ ზამთარს მოედო გრიპის ეპიდემია. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ეპიდემია კონტინენტის სამხრეთ ნაწილში ქრება, ხოლო ჩრდილოეთში, კერძოდ სკანდინავიის ქვეყნებში, ძლიერდება.

ეპიდემია ვრცელდება სხვა კონტინენტებზეც. გრიპის ეპიდემია დაიწყო ინდოეთის ბევრ რაიონში. როგორც ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია იტყობინება, ლათინურ ამერიკაში ეპიდემიის ცენტრია მექსიკა.

## ჩრდილოეთ ირლანდია — პოლიციური დეკრეტი

ლონდონი, 9 იანვარი. საქდესის კორესპონდენტი ვ. ნიკიტინი იუწყება: კვლავ მოქმედების სრული თავისუფლება ენიჭება ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციას, რომელმაც გასული წლის აგვისტოში სახელი გაითქვა მოქალაქეობრივი უფლებების დაცვისათვის მებრძოლი ხალხების სასტიკი დარბევით. როგორც გუშინ გამოქვეყნებული ინგლისის არმიის სარდლობისა და ბელფასტის პოლიციის სამმართველოს ერთობლივი განცხადება მოწმობს, ოლსტერის პოლიცია უახლოეს დროში განაახლებს თავის საქმიანობას ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში ქვეყნის ყველა რაიონში. ამ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში აგვისტოს მღელვარებათა შემდეგ ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის ფუნქციებს ასრულებდნენ ინგლისის ჯარები.

მხოლოდ ამ ჯარების დაცვით შეძლეს ოლსტერის ხელისუფლებმა დაენგრიათ ბარიკადები, რომლებიც აგებული იყო ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქების მრავალ ქუჩაში. ამ ბოლო დრომდე ოლსტერის პოლიციელები ვერ ბედავენ ბელფასტისა და ლონდონდერის მუშათა რაიონებში გამოჩენას.

## ამერიკის შეერთებული შტატები — საქმის მოსმენა დამთავრდა

ნიუ-იორკი, 9 იანვარი. საქდესის კორესპონდენტი ბ. ფრიმენი გვატყობინებს:

დამთავრდა განსვენებული სენატორის რობერტ კენედის ყოფილი მდივნის მერი ჯო კოპეჩნეს სიკვდილის გამო საქმის მოსმენა, რომელიც ოთხ დღეს გრძელდებოდა ედგარტაუნში (მასაჩუსეტის შტატი). მოსმენა მიმდინარეობდა დახურულ დარბაზში. ამერიკის ამ პატარა ქალაქის სასამართლოს დარბაზს გაძლიერებით იცავდნენ.

პრესაში გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ ცოტა რამ შემატა ახალი იმას, რაც უკვე ცნობილი იყო მ. კოპეჩნეს სიკვდილის ვითარების შესახებ. როგორც ვიცით, იგი დაიღუპა გასული წლის ივლისში, როცა ბრუნდებოდა ედგარტაუნის ახლოს გამართული წვეულებიდან ავტომობილით, რომელსაც სენატორი ედვარდ კენედი მართავდა.

საქმის მოსმენამ დიდი ყურადღება მიიპყრო იმიტომ, რომ იგი ეხება დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი წამყვანი მოღვაწისა და პრეზიდენტობის შესაძლო მომავალი პრეტენდენტის სენატორ ედვარდ კენედის პოლიტიკურ მომავალს.

საქმის მოსმენაზე ოცზე მეტი მოწმე გამოვიდა.

მოსამართლე ბოილი მოხსენებას ამ მოსმენის შესახებ გამოაქვეყნებს გარკვეული დროის შემდეგ, მაგრამ თარიღი ჯერჯერობით დადგენილი არ არის. მოხსენება გადაეცემა მასაჩუსეტის შტატის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს, რომელიც გადაწყვეტს, წაუყენოს თუ არა სენატორ ე. კენედის სასამართლო წესით ბრალდება „დანაშაულებრივი დაუდევრობის“ გამო, რამაც მ. კოპეჩნეს სიკვდილი გამოიწვია.

სენატორი ე. კენედის პოლიტიკური მოწინააღმდეგენი არ მალავენ თავიანთ იმედს, რომ ეს ტრაგიკული შემთხვევა ბოლოს მოუღებს კენედის პოლიტიკურ კარიერას. მაგრამ თვითონ ე. კენედიმ დაადასტურა ამ კვირაში, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს იმისათვის, რომ ხელახლა აირჩიონ სენატში მიმდინარე წლის ნოემბერში.



## გულმართალი მწერალი, კრიტიკოსი



გამოჩენილ ქართველ მწერალს, უცდომელი გემოვნებისა და უკომპრომისო პრინციპულობის კრიტიკოსს, ღრმად ერუდირებულ მკვლევარს კლასიკური ლიტერატურისა, მხატვრული სიტყვის მაღალნიჭიერ ოსტატს გიორგი ნატროშვილს სამოცი წელი შეუსრულდა. გულითადი მადლიერების, სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით ეხმაურებიან ამ საიუბილეო თარიღს მწერლის მეგობრები, თანამოღვაწენი და თანამოკალმენი და მათთან ერთად მკითხველი საზოგადოებრიობის ფართო წრეები. თავისი ხანგრძლივი, მრავალმხრივი, კეთილშობილური ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით, შთაგონებული შემოქმედებითი შრომით გიორგი ნატროშვილმა საყოველთაო აღიარება და პოპულარობა მოიხვეჭა და დამსახურებულად დაიმკვიდრა საპატიო ადგილი თანამედროვე ქართული მწერლობის იმ საუკეთესო მოღვაწეთა შორის, რომლებიც მუდამ ცხოვრების მოწინავე ხაზზე დგანან, დაუცხრომლად იბრძვიან და შრომობენ ჩვენი ეროვნული კულტურის აღმავლობისა და განვითარებისათვის.

20-იანი და 30-იანი წლების მიჯნაზე შემოდგა ფეხი გ. ნატროშვილმა ქართული მწერლობის ფართო სარბიელზე და ერთბაშად მოექცა იმდროინდელი მძაფრი ლიტერატურული ბრძოლების შუაგულში. ახალგაზრდა ლიტერატორმა იმთავითვე იშვიათი ნიჭიერება, მძიებელი გონების გამჭრიახობა, ლიტერატურული ინტერესების მრავალმხრივობა გამოიჩინა, რითაც სამწერლო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო და უეჭველი ნდობა და ავტორიტეტი მოიპოვა. იმ წლებში საბჭოთა მწერლობა თავისი ისტორიის ახალ სტადიაში შედიოდა. ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის უდიდესი უმრავლესობა გაერთიანებას იწყებდა პარტიის პოზიციებისა და სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო. მთავრდებოდა განცალკევებულ სამწერლო გაერთიანებათა და დაჯგუფებათა ურთიერთ ბრძოლა, მწერლობის სასიცოცხლო ძალთა დაქსაქსულობა, იწყებოდა ახალი მძლავრი შემოქმედებითი აღმავლობა მთელ მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურაში და, კერძოდ, ქართულ მწერლობაში.

ასეთი ვითარება ახლებურ ამოცანებს აყენებდა საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის წინაშე, რომელსაც ისტორიამ დააკისრა უაღრესად რთული და საპატიო ამოცანა — გზა გაენათებინა მწერლობისათვის ამ დიდი შემობრუნების პერიოდში, გაეადვილებინა მისთვის ახალი თემატიკის ორგანულად დაუფლების, ცხოვრების მიერ ნაკარნახევი ახალი შემოქმედებითი მეთოდის სრულყოფილად მომარჯვების სიძნელეები, ახლებური მარქსისტულ-ლენინური გაშუქება მიეცა ჩვენი უმდიდრესი კლასიკური მემკვიდრეობისათვის, გადაჭრით აღმოეფხვრა სერიოზული შეცდომები და გაუგებრობანი, რასაც ადგილი ჰქონდა 20-იანი წლების ჩვენს ლიტერატურულ აზროვნებაში.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ძვირფასი იყო ლიტერატურულ სარბიელზე ისეთი ნიჭიერი, გულმართალი, განათლებული და დაუცხრომელი შემოქმედებითი პოტენციის კრიტიკოსის გამოჩენა, როგორიც არის გ. ნატროშვილი. მაშინ იგი მწერლობის ამ უაღრესად რთულ და პასუხსაგებ დარგში მუშაობდა და ლიტერატურული აზროვნების ახალ ამოცანათა დონეზე ამაღლებას ახმარდა მთელ თავის ძალღონეს. ამჟამად ჩვენი ხალხი გ. ნატროშვილს იცნობს და აფასებს არა მარტო როგორც კრიტიკოსსა და ლიტერატურის ისტორიის მკვლევარს, არამედ ამასთანავე როგორც ხალასი ნიჭიერებისა და მაღალი პროფესიული კულტურის ბელეტრისტსაც.

მაგრამ თავისი სამწერლო ბიოგრაფიის დასაწყისში იგი ლიტერატურული კრიტიკოსის მძიმე ტვირთს შეეჭიდა და მას შემდეგ თითქმის მთელი ოთხი ათეული წლის მანძილზე დიდი წარმატებით ეზიდება ამ საპატიო ტვირთს. თანამედროვეობის გამახვილებული გრძნობა თანაბრად ახასიათებს გ. ნატროშვილს მაშინაც, როცა მიმდინარე ცოცხალი ლიტერატურული პროცესების დამახასიათებელ მოვლენებს განიხილავს, ჩვენი დროის მწერლებსა და მათს შემოქმედებას აფასებს, და მაშინაც, როცა ჩვენი დიდი წინაპრებისა და წინამორბედების ღვაწლსა და შემოქმედებითს მემკვიდრეობას იკვლევს.

იგი არასოდეს არ არის ნეიტრალური და გულგრილი ანალიზისა და კვლევის საგნად შერჩეული ლიტერატურული მასალის მიმართ. მთელი მისი ლიტერატურულ-კრიტიკული და კვლევითი მოღვაწეობა გამსჭვალულია ჭეშმარიტი პატრიოტული მგზნებარებით, ეროვნული სიამაყის კანონიერი გრძნობით, მწერლობის, ჩვენი კულტურის განვითარების სასიცოცხლო ინტერესებისადმი შეუნელებელი ერთგულებით და მაღალი პრინციპულობით. უკომპრომისო მომთხოვნელობა, მაღალი იდეური და ესთეტიკური კრიტერიუმები გ. ნატროშვილის კრიტიკულ მოღვაწეობაში საოცარი ჰარმონიულობით არის შეხამებული კეთილმოსურნეობის [?] გრძნობასთან, მწერლობის დაუცხრომელ სიყვარულთან, ნიჭიერების დაფასების, მისდამი პატივისცემის, მწერლობის ნამდვილი მიღწევებით წრფელი აღტაცების სამაგალითო თვისებებთან.

სწორედ ამ თვისებების გამო მწერლობა და მკითხველი საზოგადოებრიობა უყოყმანოდ ენდობიან გ. ნატროშვილის შეფასებებს, მის დასკვნებსა და მსჯავრს, რა მკაცრიც უნდა იყოს იგი ზოგიერთ აუცილებელ შემთხვევაში.

თითქმის ორმოცი წელიწადია, რაც გ. ნატროშვილი მზრუნველი მეგობრის გულისხმიერებით თავს დასტრიალებს ჩვენი ლიტერატურის სარბიელს, ისწრაფვის წაახალისოს ყველაფერი, რაც კი ნამდვილად ნიჭიერი, ნათელი, პროგრესული და მაღალიდეურია ჩვენს მწერლობაში, დააზღვიოს მწერლობის განვითარება სახიფათო შეცდომათა და მანკიერებათაგან. ძნელია დავასახელოთ ამ ხნის მანძილზე ჩვენი მწერლობის ცხოვრებაში აღმოცენებული რომელიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც დროულად არ გამოხმაურებოდეს გ. ნატროშვილი, ან ისეთი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები, რომლის შესახებაც მას თავისი გულმართალი და კომპეტენტური აზრი არ გამოეთქვას. რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ მთელ ამ უხვ და მრავალფეროვან მოვლენათა შეფასებისას კრიტიკოსი ყოველთვის აბსოლუტურად ზუსტი და უცდომელი ყოფილიყოს. ასეთი იდეალისათვის ლიტერატურული კრიტიკის კლასიკოსებსაც კი ვერ მიუღწევიათ.

მაგრამ როცა ახლა გ. ნატროშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებისა და გამოკვლევების ტომებს გულმოდგინედ გადავიკითხავთ, არ შეიძლება დიდი კმაყოფილებით არ აღვნიშნოთ, რომ კრიტიკოსს დიდი სიყვარულით, პრინციპულობით და მაღალი პროფესიული ოსტატობით აქვს განხილული და შეფასებული ჩვენი თანამედროვე პოეზიის, მხატვრული პროზისა და დრამატული მწერლობის ყველა უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები. გ. ნატროშვილმა დიდი გულმოდგინებით შეისწავლა და განიხილა გ. ტაბიძის, მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, გ. ლეონიძის, სერგო კლდიაშვილის, ს. ჩიქოვანის, დ. შენგელაიას, ი. აბაშიძის, პ. კაკაბაძის, ა. მირცხულავას, კ. ლორთქიფანიძის, გ. აბაშიძის, კ. კალაძის და სხვა მრავალი, თითქმის ყველა თანამედროვე გამოჩენილი ქართველი მწერლის შემოქმედება. ზოგი მათგანი მონოგრაფიული სისრულით არის შესწავლილი და დახასიათებული, ზოგისა კი რომელიმე ცალკეული ნაწარმოებია განხილული.

იმის მიუხედავად, ვრცელია მოცულობით თუ შედარებით მოკლე და ლაკონიურია კრიტიკული ნაშრომი, გ. ნატროშვილი ახერხებს დაგვიხატოს მწერლის მთლიანი სახე, ცოცხლად წარმოგვიდგინოს მისი მხატვრული ინდივიდუალობა, მისი თემატური სამყაროს იდეური მიზანდასახულობის, მხატვრული მეტყველების ბუნების განუმეორებელი თავისებურებანი. სწორედ ამაში მდგომარეობს კრიტიკოსის ნამდვილი ოსტატობა, მისი პროფესიული ხელოვნება.

დიდია გ. ნატროშვილის დამსახურება აგრეთვე ქართული კლასიკური მწერლობის შესწავლისა და მისი ისტორიის კარდინალური პრობლემების კვლევის საქმეში. მან მასალის დიდი ცოდნით, მახვილი გემოვნებით, ისტორიული გააზრებით აღბეჭდილი გამოკვლევები მიუძღვნა ჩვენი ეროვნული ლიტერატურის ისეთ კორიფეებს, როგორიც არიან სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, იოანე ბაგრატიონი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, გიორგი წერეთელი, დავით კლდიაშვილი და სხვები. თითქმის მთელი ქართული კლასიკური მწერლობის ისტორიაა წარმოსახული გ. ნატროშვილის ამ გამოკვლევებში. ყოველი მათგანი დაწერილია ერთნაირად სწორი და მართებული ისტორიულ-ლიტერატურული კონცეფციით, უსაზღვროდ ფართო და მასშტაბური გააზრებით. ამ წერილებისა და გამოკვლევების კითხვისას ჩვენ გვხიბლავს არა მარტო შესასწავლი საგნის ზედმიწევნით ცოდნა და ღრმა გააზრება, არამედ ლიტერატურული აზროვნების ფართო ჰორიზონტი და მასშტაბურობა, მკვლევარის დიდი ერუდიცია.

აღსანიშნავია, რომ გ. ნატროშვილი დიდი სიყვარულითა და ყურადღებით ეპყრობა თავისი უფროსი და თანატოლი კოლეგების — კრიტიკოსებისა და ლიტერატურის ისტორიკოსების შემოქმედებითს შრომას. ამის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს მისი მცირე მოცულობის, მაგრამ მრავალმეტყველი წერილები, მიძღვნილი გერონტი ქიქოძის, ლევან ასათიანის, აკაკი გაწერელიასა და სხვებისადმი.

გ. ნატროშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული და კვლევითი მოღვაწეობის ერთი საუკეთესო ღირსება ისიც არის, რომ თავის წერილებსა და გამოკვლევებში იგი ხშირად მიმართავს მხატვრული სახეებით აზროვნებას, სპეციფიკურ ბელეტრისტულ საშუალებებს. ეს გამოიხატება არა მარტო იმით, რომ გ. ნატროშვილი წერს შესანიშნავი ქართული ენით, სიტყვის, ფრაზის გამახვილებული გრძნობით, საოცრად ბუნებრივი და ამასთანავე ხატოვნად მეტყველი სტილით, არამედ იმითაც, რომ იგი ხშირად ნამდვილი სურათოვნებითა და პლასტიკურობით წარმოსახავს მწერლის ბიოგრაფიის ცალკეულ ეპიზოდებს თუ განსახილველი ნაწარმოების სიუჟეტურ პასაჟებს...

სამამულო ომის პერიოდის ქართული მწერლობის, კერძოდ ჩვენი მხატვრული პროზის ერთ-ერთ საუკეთესო წიგნად, რჩება დღემდე გ. ნატროშვილის ნოველების კრებული „დასავლეთის ფრონტზე“. ამ წიგნით დაიწყო გ. ნატროშვილის მოღვაწეობა ბელეტრისტიკის დარგში. ამ წიგნს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ქართულ მწერლობაში სამამულო ომის გმირული ეპოპეის გამოხატვის თვალსაზრისით.

მას შემდეგ გ. ნატროშვილმა არაერთი მაღალმხატვრული ნაწარმოებით გაამდიდრა თანამედროვე ქართული ნოველისტიკის საგანძური. ამ ნოველათა შორის უწინარეს ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ ისეთი მართლაც უჭკნობი მხატვრული ქმნილებანი, როგორიცაა „ისევ გაზაფხული იყო იორზე“, „უდარდელი კაცის სიკვდილი“, „უცნობი ჯარისკაცი“, „მფრინავის დაბრუნება“, „სანამ ცოცხალ იქნები“ და სხვ. ამ ნაწარმოებებში ცხოვრობენ და მოქმედებენ სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და ხასიათის ცოცხალი ტიპიური ადამიანები, რომლებიც შთამაგონებლად და დიდი მხატვრული სიმართლით განასახიერებენ ჩვენი ხალხის, თანამედროვეობის გმირის ხასიათის საუკეთესო თვისებებს.

გ. ნატროშვილის ესოდენ მდიდარი და ნაყოფიერი შემოქმედება განუყოფელია მისი დიდი და მრავალფეროვანი საზოგადოებრივი მოღვაწეობისაგან. იგი მთელი თავისი სამწერლო ბიოგრაფიის მანძილზე აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელია ჩვენი ლიტერატურული ორგანიზაციებისა, სარედაქციო და საგამომცემლო საქმისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დიდი ღვაწლი ქართული სალიტერატურო პერიოდიკის განვითარების საქმეში. თითქმის ოცი წლის განმავლობაში იგი იყო გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი. ამ დიდ და საპატიო მოვალეობას გ. ნატროშვილი ასრულებდა უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით, სიყვარულით და დაუცხრომელი შრომისმოყვარეობით.

ასეთივე გატაცებით და გზნებით რედაქტორობს უკანასკნელ წლებში ჟურნალ „დროშას“, რომლის გარშემო შემოიკრიბა და გააერთიანა ჩვენი მწერლობის საუკეთესო ძალები.

ამჟამად ღვაწლმოსილი იუბილარი თავისი ნიჭიერებისა და შემოქმედებითი ძალების სრული სიმწიფის ასაკში იმყოფება. სულ ახლახან გაგვახარა თავისი მრავალმხრივ საყურადღებო დრამატული ნაწარმოებით, რომელშიც ნიკოლოზ ბარათაშვილის სიცოცხლის უკანასკნელი დღეების ტრაგიკული სურათია წარმოსახული, გამოაქვეყნა შესანიშნავი მონოგრაფია ირაკლი აბაშიძის საინტერესო პოეტური ცხოვრების შესახებ, კიდევ ერთხელ გამოიწვია ჩვენი აღტაცება ახალი გამოკვლევით, რომელშიც დასაბუთებულია ალექსანდრე ჭავჭავაძის განუყოფელი სულიერი ნათესაობა თავისი ეპოქის მსოფლიო ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ყველაზე მოწინავე მიმდინარეობებთან.

ასეთი ახალი სიღრმით, მრავალმხრივობითა და ნიჭიერებით გრძელდება გ. ნატროშვილის შემოქმედებითი ცხოვრება, და უეჭველია, იგი კიდევ მრავალი ძვირფასი მიღწევით გაამდიდრებს ჩვენი კულტურის საგანძურს, მრავალ ახალ სიხარულს მოუტანს მადლიერ მკითხველთა ფართო წრეებს.

ამ რწმენითა და მოლოდინით ვულოცავთ ჩვენს ძვირფას მეგობარსა და საყვარელ მწერალს მაღალი ბუნებისა და კეთილი გულის ნათელ პიროვნებას თავის სახელოვან იუბილეს და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ახალ გამარჯვებებს.

ბესარიონ ჟღენტი.

## უცხოეთის პრესიდან

### ნოეს კიდობნის ძებნაში

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ამერიკელ არქეოლოგთა სამეცნიერო ექსპედიციამ არარატის მთაზე აღმოაჩინა ხის ორი ნამტვრევი, რომლებიც, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, წარმოადგენენ ხომალდის ნარჩენებს, კერძოდ იმ გემისას, რომელიც ბიბლიაში აღწერილია როგორც ნოეს კიდობანი.

ამ ნაპოვნს თავისი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1955 წელს ვინმე ფერნან ნავარამ, ბორდოელმა საქმოსანმა, რომელმაც მიზნად დაისახა დაემტკიცებინა კიდობნის არსებობა, განახორციელა 5.156 მეტრი სიმაღლის არარატის მთაზე ასვლა. თოვლით დაფარული მწვერვალის მახლობლად მან აღმოაჩინა ხის ნაჭერი, რომელიც ადამიანის ხელით დამუშავებულს ჰგავდა. ნავარამ ნაპოვნი ხის რამდენიმე ნაწილი ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო დაწესებულებებში გაგზავნა. მეცნიერებმა განსაზღვრეს მისი „ასაკი“ — 4 ათასი წელიწადი. უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიის მკვლევართა აზრით, ამბები, რომლებმაც წარმოშვეს ლეგენდა ნოეს კიდობნის შესახებ, უნდა მომხდარიყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2500-4500 წლების პერიოდში. ამას წინათ ხის ორი ახალი ნარჩენი აღმოჩენილ იქნა ტყის ზოლის საზღვრის ზემოთ, იმ ადგილის მახლობლად, სადაც 15 წლის წინათ ნავარა იმყოფებოდა. ისინი ამოიღეს ყინულიდან, რომელიც 6-9 მეტრი სისქის ფენად პატარა ტბას ფარავს. ის მეცნიერებიც კი, რომლებიც სკეპტიკურად უყურებენ ლეგენდას ნოესა და მისი კიდობნის შესახებ, დარწმუნებული არიან, რომ ტბის ფსკერზე უნდა იყოს ხის უძველესი რაღაც ნაგებობა. 1970 წელს განზრახული აქვთ არარატზე აიტანონ მძიმე მექანიზმები და მოწყობილობა, რომელთა დახმარებით აპირებენ ყინულის მასისაგან ტბის განთავისუფლებას.

### ნიაგარას ჩანჩქერის „რემონტი“

ნიაგარას ჩანჩქერი, უფრო სწორად მისი ის ნაწილი, რომელიც ამერიკის ტერიტორიაზე მდებარეობს (მეორე ნახევარი კანადის ტერიტორიაზეა), კვლავ „ამუშავდა“. ექსკავატორით გათხარეს ხელოვნური დამბა, რომელმაც წყალს გზა ჩაუკეტა მდინარე ნიაგარასაკენ, და ჩანჩქერი კვლავ კლდეზე დაეშვა. მთელ მსოფლიოში ცნობილი ეს ჩანჩქერი ივნისში „სარემონტოდ დახურეს“ იმ მიზნით, რომ ინჟინრებს შეესწავლათ იმ კლდის ქანება, რომელზეც ჩანჩქერი გადმოქუხს. მიღებული მონაცემების საფუძველზე, მაგრამ არაუადრეს 1971 წლისა, შემუშავებული იქნება ჩანჩქერის გამაგრების სამუშაოთა გეგმა, რაც გამოწვეულია იმით, რომ 1931 და 1954 წლებში ჩამოინგრა ათეულ ათასობით ტონა კლდის ქანები.

ვარაუდობენ, რომ ბუნების ეს სასწაული მთელი სიმძლავრით დღედღეზე „ამუშავდება“ და კვლავ მიიზიდავს მრავალ ტურისტს, რომლებიც მის სანახავად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიან. ყველაზე მეტად გახარებული არიან ამ რაიონის სასტუმროების, მოტელების, რესტორნებისა და მაღაზიების მფლობელნი, რომლებსაც დიდი ზარალი მოუვიდათ ნიაგარის ჩანჩქერის „რემონტის“ პერიოდში.

# ოჯახი, სკოლა, საზოგადოება

პ. ბერძენიშვილი,
საქართველოს სსრ პროკურორი.

ოჯახი ბავშვისათვის ის პირველი სკოლაა, სადაც იწყებს ცხოვრების შესწავლას. აქვე ხდება მისი შეხედულებების ჩამოყალიბება, უმუშავდება დამოკიდებულება შრომასთან, ხალხთან, გარემოსთან. ამიტომ ოჯახს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოზარდის აღზრდაში.

არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლა საერთოდ დანაშაულისა და მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის ერთ-ერთი პირობაა. ამ პრობლემის გადასაჭრელად მთელი საზოგადოებრიობა უნდა დაირაზმოს. მარტო იმ სპეციალური სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა, რომლებიც მოწოდებული არიან კანონიერების დაცვისა და დანაშაულის აღკვეთისათვის, საკმარისი არ იქნება.

მოზარდთა კომუნისტურად აღზრდის ურთულესი პრობლემა მთელი ჩვენი საზოგადოების, განსაკუთრებით კი ოჯახისა და სკოლის ერთიანი და შეთანხმებული მოქმედებით უნდა გადაიჭრას. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ბავშვის აღზრდაზე, მის მოქმედებაზე ოჯახი სკოლას უცხადებს პრეტენზიას, ხოლო სკოლა მთელ პასუხისმგებლობას ოჯახს აკისრებს. საკითხის ისე დასმა, რომ მოზარდის მიერ მართლწესრიგის დარღვევაში ან სკოლაა დამნაშავე ან ოჯახი, სწორი არ არის. ერთმა არასრულწლოვანმა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, გამოცხადდნენ მშობლები და მასწავლებლები. კლასის ხელმძღვანელმა ასე „დაასაბუთა" ოჯახის დანაშაული: კლასში 30 მოსწავლე გვყავს. მათგან უმეტესობა სწავლითაც და ყოფაქცევითაც სანიმუშოა. მხოლოდ ამ მოსწავლემ შეარცხვინა მთელი სკოლა თავისი უღირსი საქციელით. მაგრამ მას განა ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ, ვიდრე დანარჩენ 29 მოსწავლეს? მასაც ხომ სხვებსავით ვასწავლიდით, სხვებსავით ვექცეოდით, სხვებსავით ვარიგებდით ჭკუას, ე. ი. დამნაშავეა ოჯახი, სადაც ბავშვს ვერ შეუქმნეს სათანადო პირობები.

ამაზე იმ მოსწავლის მამამ უპასუხა: მე სამი შვილი მყავს, სამივე ერთნაირად მიყვარს. სამსავე ერთნაირად ვაცმევ, ვკვებავ და სწავლისა და გართობის ერთნაირ პირობას ვუქმნი. ორი სანიმუშოა, ამან კი დანაშაული ჩაიდინა. ამიტომ მე ვამბობ, რომ დამნაშავე მშობლები კი არა, სკოლაა.

ვინაიდან ერთმანეთის წინააღმდეგ წაყენებული არგუმენტები დამაჯერებლად მოეჩვენათ, ორივე მხარემ სკოლაც და ოჯახიც ვალმოხდილად ჩათვალეს და ყველაფერი „ბუნებას" გადააბრალეს, რაც არ არის სწორი. სინამდვილეში ამ კონკრეტულ შემთხვევაში დამნაშავეა ოჯახიც და სკოლაც. სწორედ ის არგუმენტი, რომელიც თავის გასამართლებლად მოიყვანეს, ააშკარავებს აღზრდის მათებური მეთოდის უვარგისობას. დანაშაულის მიზეზიც სწორედ ის არის, რომ იმ ყმაწვილსაც სხვებსავით ასწავლიდნენ, სხვებსავით სთხოვდნენ პასუხს, სხვებსავით ექცეოდნენ, სხვათა მსგავს პირობებს უქმნიდნენ. საჭირო იყო მასთან განსხვავებულად ემუშავნათ. თვითეული მოსწავლე, თვითეული ბავშვი მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას. არ შეიძლება მათთან მუშაობაში არ გაითვალისწინო განსხვავებული ხასიათი, ტემპერამენტი, ჩვეულებანი და მიდრეკილება. ზოგს შექება წაახალისებს, ზოგს კი გაათავხედებს. ზოგიერთთან ზედმეტი სიმკაცრეა საჭირო, ზოგიერთთან კი უშუალობა უფრო გამოდგება. ყოველივე ეს თეორიულად კარგად იციან, პრაქტიკულად კი ამას ვერ ან არ ახორციელებენ. ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის სკოლამ, ოჯახმა და ფართო საზოგადოებრიობამ ენერგია არ უნდა დაზოგონ.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი სკოლა და ოჯახი ამ მხრივ სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას. სამართალში მიცემული მოსწავლეების მიმართ პედაგოგიური კოლექტივი ზოგჯერ ორ უკიდურესობას იჩენს: ან თავის „მუნდირს" უფრთხილდება და ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს არასწორი დახასიათებითა და გამოძიების შეცდომაში შეყვანით აარიდოს მოზარდს დამსახურებული სასჯელი, ან სრულიად უხშობს მას სასჯელის მოხდის შემდეგ სკოლის კარს და ქუჩის ანაბარად ტოვებს.

აი მაგალითებიც. ქალაქ თბილისის 45-ე სკოლის მერვეკლასელებმა ვ. ნ. თოფაძემ და ს. კ. ვართანიანმა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს: ერთ-ერთი საავადმყოფოს ფანჯარას აგლიჯეს რკინის ბადე, გადაიპარნენ ქალთა პალატაში და ორი ავადმყოფი გაქურდეს. ბოროტმოქმედნი დააკავეს.

წინასწარი გამოძიებისას თოფაძისა და ვართანიანის კლასის ხელმძღვანელმა ვ. ზ. ვახანიამ ორივე მოსწავლეზე გასცა დადებითი დახასიათება და პირადად აღძრა შუამდგომლობა, რომ მისი მოწაფეები გაეთავისუფლებინათ, ხოლო მათ შემდგომ აღზრდასა და გამოსწორებაზე თავად კისრულობდა პასუხისმგებლობას. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ ორივე არასრულწლოვანს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 45-ე სკოლის მთელი პედკოლექტივი მათ თავდებად დაუდგა და აღძრა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ თავისუფლების აღკვეთა შეეცვალათ პირობითი სასჯელით. სკოლის შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა. ცოტა ხნის შემდეგ არასრულწლოვანმა თოფაძემ უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა და დაპატიმრებულ იქნა.

ახლა მაინც სად იყო სკოლა, კლასის ხელმძღვანელი? ნაცვლად იმისა, რომ პედაგოგიურ კოლექტივს კონტროლი გაეწია ბავშვების აღზრდისათვის, პირიქით, თავიდან მოცილების მიზნით მათ აუკრძალეს გაკვეთილებზე დასწრება.

როცა მსჯავრმოხდილმა გიორგი რ-ძემ რუსთავის ერთ-ერთ სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად დაბრუნება დააპირა, სკოლის დირექტორმა ასე გამოისტუმრა: „შენ ქურდი ხარ და აქ არაფერი გესაქმება". ცხადია, ამგვარი საქციელი არა მარტო თავისდაზღვევა და უსულგულობაა, არამედ დანაშაულიც, ვინაიდან სკოლებს ევალებათ მსჯავრმოხდილ არასრულწლოვანთა ჩაბმა სწავლისა და შრომის ფერხულში.

აღზრდის საკითხში ოჯახი ხშირად დამნაშავეა საზოგადოების წინაშე. ბევრი თქმულა და დაწერილა იმაზე, თუ რაოდენ დიდ როლს ასრულებს მოზარდისათვის მშობელთა პირადი მაგალითი. წესიერი, პატიოსანი ოჯახი, რომლის ყოველი წევრი სამაგალითოა, ბავშვის წესიერი აღზრდის საიმედო გარანტიას წარმოადგენს.

სტატისტიკური მონაცემები ნათლად გვიჩვენებს, რომ დამნაშავე არასრულწლოვანთა უმრავლესობას მოუწესრიგებელი ოჯახური გარემო აქვს. განსაკუთრებით მძიმედ მოქმედებს მოზარდის ფსიქიკაზე მშობლების განქორწინება. მძიმე დაღი დაამჩნია ამან არასრულწლოვან გენადი ფ-საც. დედამისი მალე გათხოვდა, მამამაც ცოლი მოიყვანა. ყმაწვილი ბედის ანაბარად მიატოვეს. ყველაფერზე გულაყრილმა გენადიმ ხელი მიჰყო წვრილმან ქურდობას. იგი სპეციალურ პროფტექნიკურ სასწავლებელში გაგზავნეს აღსაზრდელად და გამოსასწორებლად. განთავისუფლების შემდეგ მან მამასთან მოინდომა ცხოვრება და წერილი მისწერა.

ამაზე დედინაცვალმა უპასუხა: „წერილს მე გწერ, მამაშენის ცოლი. იწერები, ჩამოსვლა თუ შეიძლებაო. კი მაგრამ, რატომ? ხომ გყავს დედა, ბებია და ელენე დეიდა, ჰოდა იმათ მოამთავრონ შენი აღზრდა. ამდენ ხანს თუ ვერ დააყენეს სწორ გზაზე, ახლა მამაშენი რა შუაშია. იმან რატომ უნდა იტვირთოს შენზე თავი. მას თავისი ოჯახი აქვს, ორი ბავშვი. ხელმოკლედ ვართ და შენი დამატება აღარ გვჭირდება, ვიწროდაც ვართ, თანაც 16 წლისას სამუშაოდ არავინ მიგიღებს. სჯობს ისევ დედაშენთან გაემგზავრო. მე საკუთარი ორიც მეყოფა. ასე რომ წამოსვლაზე ნურც იფიქრებ. მამაშენსაც ნუღარ შეაწუხებ წერილებით, რაიმე სხვა გზა გამოძებნე. საერთოდ, ჩაუფიქრდი ამას, გენადი: საკუთარ დედას თუ არ უნდიხარ, მე ვინღა ვარ შენთვის? არავინ! ნუ გეწყინება, მაგრამ ეს ასეა. შეგიძლია აღარ გვახსენო".

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ გენადი ფ დროულად მოაწყო სამუშაოდ და ნორმალური ცხოვრების პირობები შეუქმნა. მაგრამ ასეთი ვაი-მშობლები უნდა ვაიძულოთ ასე აგდებულად ნუ მოეკიდებიან თავიანთ უწმინდეს მოვალეობას.

ზოგიერთი მშობელი „ობიექტურ" მიზეზს პოულობს თავის გასამართლებლად, — ვმუშაობთ, ბავშვების აღზრდისათვის დრო არ გვრჩებაო. ასეთ მშობლებს ავიწყდებათ, რომ აღზრდის პროცესი უწყვეტია, რომ ბავშვზე ზეგავლენას პირადი მაგალითი უფრო ახდენს, ვიდრე სიტყვიერი შეგონება, რომ მშობელი ბავშვს მაშინაც კი წვრთნის, როცა ფიზიკურად მასთან არ იმყოფება, წვრთნის მოზარდის ირგვლივ შექმნილი გარემოთი, საგნებით.

მშობელთა პასუხისმგებლობის გაძლიერება არასრულწლოვანი შვილების დანაშაულისათვის, მათი მჭიდრო კავშირი სკოლასთან და სხვა ორგანიზაციებთან მოზარდთა შორის დანაშაულის პროფილაქტიკისა და აღმოფხვრის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. მშობლების უყურადღებობის გამო ხდება ხშირად გაუფრთხილებლობით მკვლელობაც. მშობლები ცეცხლსასროლ იარაღს, განსაკუთრებით სანადირო თოფებს, შესაფერ ადგილზე არ ინახავენ. მაგალითად, თერჯოლის რაიონში არასრულწლოვანმა ტ. ვ. კუტალაძემ მოკლა 13 წლის მეზობელი. წულუკიძის რაიონში არასრულწლოვანმა ვ. ბ. შავგირაძემ მოკლა საკუთარი დედა... აი რა ტრაგიკული შედეგი გამოიღო დაუდევრად მიგდებულმა იარაღმა. დაიღუპა ან დაიჭრა რამდენიმე ადამიანი, განუკურნებელი ფსიქიკური ტრავმა მიიღეს მკვლელებმა. მათ შესახებ შედგენილია სისხლის სამართლის საქმეები, მაგრამ არანაკლებ სასჯელის ღირსი არიან ის პირები, რომლებმაც ცეცხლსასროლი იარაღის მოვლა და შენახვა არ იციან.

არასრულწლოვან დამნაშავეთა შორის მნიშვნელოვან ნაწილს დანაშაული ჩადენილი აქვს სიმთვრალეში. ყველასათვის ცნობილია, რომ არასრულწლოვანთათვის სპირტიანი სასმელების მიყიდვა აკრძალულია. ასევე სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ემუქრება იმათ, ვინც არასრულწლოვანებს სმასა და ლოთობაში ჩაითრევს. საერთოდ ლოთობასთან ბრძოლის გაძლიერების თვალსაზრისით რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილ იქნა ცვლილებები, სამოქმედოდ მიღებულია საგანგებო საკანონმდებლო ნორმა.

კანონები საკმარისი გვაქვს და სწორად გამიზნულიც, საჭიროა მხოლოდ მათი შესრულება. გარდა ვაჭრობის მუშაკებისა და იმ პირთა პასუხისმგებლობის ამაღლებისა, რომლებიც მოწოდებული არიან დაიცვან ეს კანონები, უნდა გაძლიერდეს საერთო პასუხისმგებლობა. მოზარდები იშვიათად თვრებიან რესტორნებსა და სასადილოებში. ისინი უფრო მეტად ოჯახურ ქეიფებზე იკრიბებიან და იქ თვრებიან. ოჯახის უფროსები ხშირად უაზრო ხელგაშლილობას იჩენენ და უხვად უმასპინძლდებიან სპირტიანი სასმელებით თავიანთი შვილებისა თუ შვილიშვილების თანატოლებს.

ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და საგანგებო საკითხია ახალგაზრდების გატაცება ნარკომანიით. როგორც ცნობილია, ნარკოტიკების მიღება გამოუსწორებლად ანადგურებს მოზარდის ორგანიზმს.

ზოგი მშობელი მალავს თავისი შვილის ასეთ ჩვევას, რითაც უდიდეს ბოროტებას სჩადის.

გაითვალისწინა რა ნარკომანიის საზოგადოებრივი საშიშროება, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა და მშრომელთა კოლექტივების თხოვნა ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1969 წლის 30 ივნისს მიიღო სპეციალური ბრძანებულება „ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა და ამ ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ". ამ ბრძანებულებით დიდად გაზრდილია სისხლის სამართლის წესით სასჯელის ღონისძიება იმათ მიმართ, ვინც მხილებული იქნება დანაშაულის ჩადენაში. ეს ღონისძიება ალბათ შესაბამის ნაყოფს გამოიღებს.

გაიზარდა პასუხისმგებლობა მშობლების მიმართ მათი არასრულწლოვანი შვილების საქციელის გამო. ახალი კანონის მიხედვით არასრულწლოვანი ნარკომანების საქმის განხილვა დაეკისრათ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს. ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს მონაცემებით 20 ივნისიდან ე. ი. ბრძანებულების ძალაში შესვლის დღიდან, ბრძანებულების პირველი მუხლის თანახმად ადმინისტრაციული წესით დასჯილთა შორის არასრულწლოვანებიც იყვნენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისია დიდ მუშაობას ეწევა მოზარდთა შორის დანაშაულის თავიდან აცილებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის, გზასაცდენილ ახალგაზრდათა საზოგადოებრივ ცხოვრების ფერხულში ჩაბმის საქმეში.

საზოგადოების თვითეული წევრის ვალია აღზარდოს ახალგაზრდები ჩვენი ქვეყნის სანიმუშო მოქალაქეებად.

## ს ცენაზეა საესტრადო ანსამბლი

● ახალციხე. მაყურებელთა წინაშე გამოსვლისათვის დიდხანს ემზადებოდა ახალციხის საქალაქო კულტურის სახლთან არსებული საესტრადო ბრიგადა „მესხეთი", რომელსაც კულტსახლის დირექტორი ვ. ჯვარამაძე ხელმძღვანელობს. და აი ამას წინათ გაიმართა მისი პირველი კონცერტი სოფელ ტატანისის მშრომელებთან.

მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება ხვდა მ. ნარზაულის მიერ შესრულებულ სიმღერებს, გულთბილად მიიღეს აგრეთვე სკეტჩები „რესტორანში", „რეჟისორთან" და „დარაჯი ლექციაზე".

ვ. სამსონიძე.

● ტყიბულის კულტურის სასახლის მეშახტე ახალგაზრდობის ორკესტრი „შაორი" ამას წინათ ესტუმრა საჩხერის კულტურის სახლს და გამართა ორგანყოფილებიანი კონცერტი (ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი — თ. ხატიაშვილი). წარმატება ხვდათ ანსამბლის წევრებს მ. გოცირიძეს, მ. ცირეკიძეს, რ. მოსიშვილს, თ. მელაშვილს და სხვებს, რომლებმაც შეასრულეს ქართული, საბჭოთა და საზღვარგარეთის ხალხთა სიმღერები.

ა. კაპანაძე.

## ნაირ-ნაირი

### სალისმოლისმდენა ექსკავატორი

მოსიარულე ექსკავატორი, რომელიც დაამზადა ურალელმა ოსტატმა ალექსანდრე სისოლატინმა, თავისუფლად ეტევა ხელისგულზე. იგი აწყობილია 150 დეტალისაგან. თუმცა ბევრი დეტალის დანახვა მხოლოდ გამადიდებელი შუშით შეიძლება, ისინი ათასტონიანი მანქანის ნამდვილი კვანძების ზუსტი ასლია. მაგალითად, მიკროექსკავატორის ვვარლი დაწნულია 0,02 მილიმეტრი დიამეტრის ექვსი ძარღვისაგან.

ურალელმა ოსტატმა დაამზადა აგრეთვე რამდენიმე მინიატურული ინსტრუმენტი, რომლებსაც წარმატებით იყენებენ ექიმები თვალის რთული ოპერაციების დროს.

სვერდლოვსკი.

### შემთხვევა გზაში

სამგზავრო ავტოპარკის მძღოლს ს. დავაევს მინავტობეები მიჰყავდა კოტურტეპეში მორიგ ჯახტზე. უცებ გზაზე დაინახა დიდი არწივი, რომელიც მანქანის საყვირმა ვერ შეაშინა. როცა ავტობუსი ახლო მიიდიდა ფრინველთან, უზარმაზარი არწივი აფრინდა და დიდი ძალით დაეჯახა კაბინას. შუშა ჩაამსხვრა, ხოლო არწივი, რომელმაც ფეხი მოიტეხა, მძღოლის კაბინაში აღმოჩნდა.

მძღოლი არ დაიბნა: მან ხელი ხტაცა დაუპატიჟებელ სტუმარს და მანქანა გააჩერა. არწივი გარაჟში მიიყვანეს. მისი თითო ფრთა მეტრზე უფრო გრძელია.

ნებიტ-დაგი.

### „პინგვინის" ნადავლი

ფოტოკამერის საშუალებით „მონადირის ნადავლის" გამოფენა გაიხსნა სევეროდვინსკში. გამოფენაზე ექსპონირებულია ზღვის ცხოველები, კიბორჩხალები, თევზები, რომლებიც გადაიღეს ცივცული და წყნარი ოკეანეების სიღრმეებში. გამოფენის ავტორები არიან მოყვარული აკვალანგისტები, კლუბ „პინგვინის" წევრები.

ფარულთათაიანმა ტურისტებმა მეზბუდლებების დროს მოაწყვეს მრავალი ექსკურსია თეთრი, ბარენცის, კარის, ოხოტის, იაპონიის ზღვების ფსკერზე. ისინი ემზადებიან მეცნიერებს უფრო ღრმად ჩაწვდნენ ზღვების საიდუმლოებას. ამას ადასტურებს წყალქვეშამძიებათა რამდენიმე დიდი ექსპედიცია, აგრეთვე სოლოვეცის ტბებში ნაპოვნი საინტერესო ნაშთი.

„პინგვინის" კლუბში გაერთიანდნენ წყალქვეშა არქეოლოგები, სპორტსმენები, მონადირეები, ფოტოგრაფები საქმეები.

სევეროდვინსკი.



დილა სოფელში

ფოტო გ. ჯაყელისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ოქროს ქალღმერთი"— მეხიკოში

„ოქროს ქალღმერთი" ლონდონიდან მექსიკის დედაქალაქში — მეხიკოში ჩაიტანეს. ჟიულ რიმეს ლეგენდარულ თასს ელოდებოდა სპეციალური ჯავშნიანი მანქანა მოტოციკლეტის რაზმით, პოლიციის გადაცმული აგენტებით. „ქალღმერთი" მეხიკოში ჩაიტანეს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლებმა ე. სტეფენმა და დ. ფოლოუზმა და მსოფლიოს ჩემპიონატის წლისკრის ცერემონიალის წინ საზეიმოდ გადასცეს მექსიკელებს.

მთავარი კი მაინც ფინალისტთა წილისყრა იყო. იგი გუშინ შედგა მეხიკოში 17 საათზე (ეს კი თბილისის დროით 11 იანვრის ღამის 3 საათია). 16 გუნდი გაიყო ოთხ ქვეჯგუფად. აი ისინი — ინგლისის, მექსიკის, ბრაზილიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, ურუგვაის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვედეთის, ბელგიის, პერუს, სალვადორის, მაროკოსა და ისრაელის ნაკრები გუნდები.

ქვეჯგუფებში მატჩები მოეწყობა ერთ წრედ, ორ-ორი გამარჯვებული მეოთხედფინალში გადის. შემდეგი ასპარეზობა (მეოთხედფინალური) მოეწყობა სისტემით — პირველ ქვეჯგუფში გამარჯვებული პირველი გუნდი შეხვდება მეორე ქვეჯგუფში გამარჯვებულ მეორე გუნდს და ა. შ. მათ შორის გამარჯვებულნი ნახევარფინალის საგზურებს მოიპოვებენ.

პირველი ქვეჯგუფის გუნდების შეხვედრები ექნებათ მეხიკოში, მეორე ქვეჯგუფის გუნდებს — ტოლუკასა და პუებლოში, მესამე ქვეჯგუფის გუნდებს — გვადალახარაში, მეოთხე ქვეჯგუფის გუნდებს — ლეონში.

როგორც რეიტერის სააგენტო მეხიკოდან იუწყება, საორგანიზაციო კომიტეტის დახურულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით ჯგუფებს სათავეში ჩაუდგნენ მექსიკის, ბრაზილიის, ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები. ამრიგად, კორესპონდენტის ცნობით, მექსიკელები ითამაშებენ მეხიკოს „აცტეკის" სტადიონზე, ბრაზილიელებს მატჩები ექნებათ პუებლოსა და ტოლუკაში, ინგლისელებს — გვადალახარაში, დასავლეთგერმანელებს — ლეონში.

□

## პირველი წრის ფინიშთან

კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველ წრეს ფინიში აქვს. მხოლოდ თბილისის „დინამოს" დარჩა გასამართავი ორი შეხვედრა, ზოგიერთს კი თითო. ხუთმა კოლექტივმა — კიევის „სტროიტელმა", ლენინგრადის „სპარტაკმა", კიევის სკა-მ, სვერდლოვსკის „ურალმაშმა" და რიგის სკა-მ უკვე დაამთავრეს პირველი წრე.

9 იანვარს შედგა ერთი მატჩი. კაუნასში ადგილობრივი „ჟალგირისის" წინააღმდეგ თამაშობდა კიევის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი. წარმატება მასპინძლებს ხვდათ ანგარიშით 60:55.

პირველი წრის დამთავრების შემდეგ გუნდები შეისვენებენ და 26 იანვარს კიევსა და კაუნასში განაახლებენ ბრძოლას, შემდეგ კი თორმეტივე გუნდი თავს მოიყრის თბილისში და 1-დან 8 მარტამდე გამართავენ დასკვნით შეხვედრებს.

როგორია მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობა დღეისათვის?

### სატურნირო ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სტროიტელი" (კ.) | 11 | 9 | 2 | 925—794 | 9 |
| ცსკა | 10 | 9 | 1 | 832—707 | 9 |
| „ჟალგირისი" (კაუნ.) | 10 | 7 | 3 | 767—737 | 7 |
| „სპარტაკი" (ლ.) | 11 | 7 | 4 | 852—787 | 7 |
| „დინამო" (მ.) | 10 | 6 | 4 | 860—810 | 6 |
| „კალევი" (ტ.) | 10 | 6 | 4 | 780—792 | 6 |
| სკა (კ.) | 11 | 5 | 6 | 805—768 | 5 |
| „დინამო" (თბ.) | 9 | 4 | 5 | 627—684 | 4 |
| „ბურევესტნიკი" (თბ.) | 10 | 3 | 7 | 736—834 | 3 |
| „ლოკომოტივი" (ალმ.) | 10 | 3 | 7 | 756—840 | 3 |
| სკა (რ.) | 11 | 2 | 9 | 802—882 | 2 |
| „ურალმაში" (სვ.) | 11 | 1 | 10 | 830—937 | 1 |

## „კომუნისტი" სპორტში

### ჩემპიონატი რეკორდებით

გუშინ ალმა-ატის მახლობლად — მედეოს მაღალმთიან საციგურაოზე დამთავრდა მიმდინარე წლის პირველი საკავშირო ჩემპიონატი ჩქაროსნულ ციგურაობაში. ეს პირველობა გამოირჩეოდა თავის პროგრამით, მასში მონაწილეობდნენ სპრინტერები — 500 და 1000 მეტრზე მორბენალი ქალები და ვაჟები. ამ დისტანციებზე მათ ორ-ორი სტარტი ჰქონდათ.

ჩემპიონატის შედეგები ჩინებული აღმოჩნდა, დამყარებულია არა ერთი მსოფლიო და საკავშირო რეკორდი. ამ რეკორდების ავტორებად პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ჩელიაბინსკელი ტ. სიდოროვა, ვ. მურატოვი, ბ. გულიაევი და სხვები. გუშინ მოსკოვის ლოკომოტიველმა ლ. ჩეჩინამ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 1000 მეტრი გაირბინა 1 წუთში და 29.09 წამში, ბ. გულიაევმა ამავე დისტანციაზე ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა — 1 წუთი და 19,64 წამი.

მრავალჭიდში ქალთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა ლენინგრადელმა ნ. სტატკევიჩმა, ვაჟთა შორის — ვ. მურატოვმა.

### კვლავ „იუჰანესჰოფზე"

როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატი მაიამიან ჰოკეიში კანადის ნაცვლად შვეციაში გაიმართება. ამასთან დაკავშირებით სტოკჰოლმში შედგა შვეციის ჰოკეისტთა კავშირის ალმასკომის სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება — ჩემპიონატის ყველა შეხვედრა მოეწყოს სტოკჰოლმის „იუჰანესჰოფის" სტადიონზე 14-დან 29 მარტამდე. ყოველდღიურად ამ სტადიონზე 3 მატჩი გაიმართება.

## გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ღრმა მადლობა გადავუხადოთ ყველა ორგანიზაციისა და პირისადმი, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება ს. მ. იშხანოვის გარდაცვალების გამო.

ს. იშხანოვის ოჯახი.

## რადიო

12 იანვარი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 09.25 — კონცერტი ა. მაჭავარიანის ნაწარმოებებიდან, 11.45 — არიები ქართული ოპერებიდან ო. კუზნეცოვას შესრულებით, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 14.00 — რიმსკი-კორსაკოვი. ნაწყვეტები ოპერიდან „ზღაპარი სალთან მეფისა" (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის რადიოდადგმა „მეძოვლის ბედი" (ნაწილი მეორე), 18.10 — დ. არაყიშვილი. ნაწყვეტები ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე", 18.45 — მღერის ლ. ივანოვა, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.45 — ა. პეტროვი. მუსიკა კინოფილმებიდან, 20.30 — ს. რახმანინოვი. პირველი საფორტეპიანო კონცერტი, 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — ციკლიდან „საბჭოთა მწერლების ლიტერატურული პორტრეტები" — ა. სერაფიმოვიჩი, 22.00 — უკრავს ახალგაზრდა მევიოლინე, პაგანინის სახელობის კონკურსის ლაურეატი გ. ეულისი, 22.50 — ნ. გაბუნია. საორკესტრო პიესა „ელეგია", 23.30 — მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## ტელევიზია

● 11 იანვარი

10,30 — ბავშვებისათვის, — „მალვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ბავშვებისათვის — ბალეტი „ექიმი აიბოლიტი" ტრანსლაცია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან, 14.55 — გადაცემათა პროგრამა, 15.00 — გადაცემა ციკლიდან „ურღვევი კავშირი..." ესტონეთის ტელევიზიის პროგრამა, 16.25 — კინონარკვევი, 16.55 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. ესტონეთის ტელევიზიის პროგრამის გაგრძელება, 17.25 — „მიწის ცივ ზღვასთან", აქტუალური კამერა ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 18.00 — კინოაფიშა, 18.20 — მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების საგანძურიდან, 19.10 — კინონარკვევი, 19.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.40 — კინონარკვევი, 19.50 — გადაცემა ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ" (ვანის რაიონი), 21.40 — გერმანული მხატვრული ფილმი „შეხვედრის ადგილი — „შინევა" (მეორე სერია).

## ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი

● 12 იანვარი

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 12.15 — გერმანული მხატვრული ფილმი „შეხვედრის ადგილი — შინევა" (I, II სერია), 18.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.35 — განცხადებები, 18,40 — „დიდი თარიღის შესახვედრად". სვირიდოვის პათეტიკური ისტორია, 19.20 — კინონარკვევი, 19.40 — „კანონი და კანონიერება", 20.10 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა. „მომღერლის შემოქმედებითი „ალბომი" — მ. ამირანაშვილი, 21.20 — კინონარკვევი, 21.30 — „დრო" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — მხატვრული ფილმი „ფარი და მახვილი" I სერია („არ ჰქონდეს უფლება იყო ვინცა ხარ") ქართულ ენაზე.

● 13 იანვარი

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — „მომღერლის შემოქმედებითი ალბომი" — მ. ამირანაშვილი (12 იანვრის გადაცემის გამეორება), 12.00 — ბავშვებისათვის — „ცხოველთა სამყაროში" (გადმოცემა ლენინგრადიდან), 12.30 — მხატვრული ფილმი „ფარი და მახვილი" I სერია („არ ჰქონდეს უფლება იყო ვინცა ხარ") ქართულ ენაზე, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები, 18.25 — „ცეროდინას ეკრანი", 18.40 — „ლენინის ქალაქი", 19.10 — „საყოველთაო-სახალხო აღწერების ისტორიიდან", 19.40 — კამერული მუსიკის კონცერტი, 20.05 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. „ლენინური ჩათვლები", 20.20 — გადაცემა „ფინეთის გზებზე", 20.50 — კინონარკვევი, 21.10 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.35 — მხატვრული ფილმი „ფარი და მახვილი" II სერია („ნაბრძანებია გაუძლო") ქართულ ენაზე.

● 14 იანვარი

11.00 — კინოპროგრამა, 11.40 — მხატვრული ფილმი „ფარი და მახვილი" II სერია („ნაბრძანებია გაუძლო") ქართულ ენაზე, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18 15 — „საპოვნელა" — სატელევიზიო ჟურნალი, 19.05 — „ქართველი კომპოზიტორები — ბავშვებს" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — „კანონი და საკოლმეურნეო ცხოვრება", 19.50 — „ქართული თეატრის დღე", 20.50 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — „ხალხური სიმღერის ოსტატები" — ვლადიმერ ერქომაიშვილი, 21.55 — კინონარკვევი, 22.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა. საახალწლო გასართობი პროგრამა „მეცამეტე საათზე" (I იანვრის გადაცემის გამეორება).

● 15 იანვარი

18.05 — ახალი ამბები 18.10 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ჩაპაის მართვენი", 19.30 — გადაცემა ციკლიდან „ჩვენი ისტორია", 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — „მოამბე" —საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — კინონარკვევი, 20.40 — გადაცემა ციკლიდან „მუსიკალური ინსტრუმენტები" — „ფლეიტა", 21.15 — მხატვრული ფილმი „ფარი და მახვილი" III სერია („გასაჩივრება არ შეიძლება") ქართულ ენაზე, 22.25 — „მწერალი სტუდიაში", 23.15 — საბჭოთა კავშირის პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში — ცეკვები ყინულზე (გადმოცემა კიევიდან).

● 16 იანვარი

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 11.45 — ლექცია ქართულ ენაში, 12.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. ახალი დოკუმენტური ფილმები, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ", 18.35 — „იყო და არა იყო რა", 18.50 — „კოლმეურნეთა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე", 19.05 — კინონარკვევი, 19.15 — გადაცემა ციკლიდან „დოკუმენტური კინო ბრალს სდებს", 19.50 — „სპორტი ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის სამსახურში", 20.15 — კინონარკვევი, 20.30 — ლიტერატურული თეატრი „ლერმონტოვი საქართველოში" (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 21.15 — „მოამბე" საინფორმაციო პროგრამა, 21.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. ახალი დოკუმენტური ფილმები.

● 17 იანვარი

09.35 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 10.35 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის — ლექცია ბიოლოგიაში, 11.05 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა: 1. დილის მუსიკალური პროგრამა; 2. „პალიტრა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — მხატვრული ფილმი „ფარი და მახვილი" III სერია („გასაჩივრება არ შეიძლება") ქართულ ენაზე, 13.25 „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!" — ქალაქი გორი (10 იანვრის გადაცემის გამეორება), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — „ცეროდინას ეკრანი", 18.40 — „გიყვარდეთ მუსიკა", 19.10 — გადაცემა „ჟურნალისტი", 18.30 — „ახალგაზრდა შემსრულებლები" (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა, „ბუნების კარი", 21,00 — ვარშავის განთავისუფლების 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა პოლონეთიდან, 21.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21 55 — მხატვრული ფილმი „ფარი და მახვილი" IV სერია („უკანასკნელი ზღვარი") ქართულ ენაზე.

## თეატრები

11 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ექიმი აიბოლიტი (დღისით), ტრავიატა (საღამოს, 21-ე აბონ. მე-7 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბებერი მეზღვაურები (დღისით), გვადი ბიგვა (საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძველი ვოდევილები (დღისით), ფეოლა (საღამოს); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი მშვენიერი ლედი (დღისით). ჩემი შეშლილი ძმა (საღამოს); მოზარდ მაყურებელთა ქართული — ჯართი (№ 11 აბონ. 10 ს., № 4 აბონ. 1 ს.), თეა ელოიზი (№ 62 აბონ. 5 ს. 30 წ.); თოჯინების ქართული — ხუთკუნჭულა (12 ს. უაბონემენტოდ, 2 ს. 145-ე სკოლა).

## კინო

11 იანვარი

ოქტომბერი — ვინეტუ — აპაჩების ბელადი, ამირანი, სპარტაკი, კოლხიდა, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, სპორტი — თავისუფლებისათვის შობილი; გაზათხული, ვარძია — საფარი; საქართველო (წითელი დარბაზი) — პიტკინის ფათერაკები საავადმყოფოში; საქართველო (მწვანე დარბაზი), ისანი, 26 კომისრის სახელობის (პირველი და მეორე დარბაზები), კომკავშირელი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), ეკრანი — დიდობრივი სიყვარული (I, II სერია); თანამედროვე — დიდი პრიზი (I, II სერია), ნაკადული — ანჟელიკა ანგელოზების მარკიზა; პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — სამართალში ვერ მიიცემა, ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — მისი საცოლე ვარ; კოლმეურნე — აგენტი უჩინარი (I, II სერია).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი. ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99 98 03. 99 02 09. პ/მგ მდივნის — 99 72 80. სამდივნოსი — 99 66 10. განყოფილებებისა: პარტიული — 99 87 61. პროპაგანდის — 93 22 93. მრეწველობის — 93 20 34. სოფლის მეურნეობის — 99 52 48. საბჭოთა მშენებლობის — 93 18 70. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93 27 58. ლიტერატურისა და ხელოვნების — 99 55 01. ინფორმაციის — 93 18 90. წერილების 99 73 24. ილუსტრაციის — 93 28 54. განცხადებების — 93 93 96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები